ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 163 (19305) სამშაბათი, 16 ივლისი, 1985 წელი ფასი 3 კაპ.

კეთილი თაოსნობა საქართველოს ფრთებს შეკრავს

კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს თბილისის № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის კომკავშირული სამეურნეოთანგარიშიანი ბრიგადა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ი. ჭელიძე ხელმძღვანელობს, წარმატებით ასრულებს თავს მეოთხეს ხუთწლედის გეგმას. ოთხი წლის მანძილზე ბრიგადამ შეასრულა ორ მილიონ მანეთისაზე მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ამასთან ზრდის ტემპმა 102 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში საეკსპლოატაციოდ გადაეცა 46 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის ბინები — გეგმით გათვალისწინებულზე ხუთი ათასი კვადრატული მეტრით მეტი. მიმდინარე წელს ბრიგადამ უნდა ააშენოს 12 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი და შეასრულოს 740 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

წარმატებით ასრულებენ თავს ხუთწლედის დავალებებს თბილისის ტელევიზორების ქარხანა „ეკრანის“, ქუთაისის ელექტრომექანიკური და ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნების კოლექტივები.

შემოქმედებითი ენთუზიაზმის, წარმოების ეფექტიანობის გადიდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის, საწარმოო სიმძლავრეების, შრომითი და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების მძლავრი იმპულსი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი. პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ვ. ი. ჭელიძის ბრიგადის, ქარხანა „ეკრანის“, ქუთაისის ელექტრომექანიკური და ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნების კომუნისტებმა, რომლებიც მხარი დაუჭირეს ქვეყნის მოწინავე კოლექტივების მოწოდებას, გამოიჩინეს ინიციატივა: „პარტიის XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური კვირა!“.

მშენებელთა კომპლექსურმა ბრიგადამ აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიმდინარე წლის პროგრამა 7 ნოემბრისათვის, ხოლო მომავალი წლის იანვარ-თებერვლის გეგმა XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს.

გადიდებული დამატებითი ვალდებულებანი იკისრა ქარხანა „ეკრანის“ კოლექტივმა, რომელმაც გადაწყვიტა ნაკისრი ვალდებულებათა გადაჭარბებით ერთ კვირეულ 0,5 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება და 0,1 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, დამატებით გამოუშვას 50 ფერადი ტელევიზორი და წლიური გეგმა 1985 წლის 27 დეკემბრისათვის შეასრულოს. ქარხნის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის გამოუშვან გაუმჯობესებული თვისებრივი პარამეტრების მქონე ახალი ტიპის ფერადი ტელევიზორების პარტია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ პარტიის მოწოდების პასუხად ბათუმმა მანქანათმშენებლებმა ვალდებულება იკისრეს წარმოებაში დანერგონ ლიფოფორი ჭრის დანადგარი, ავტოკლავების აწყობისა და შედუღების ნაადურ-მექანიკური ხაზი, განახორციელონ „ჩრო-ბ“ როლერის მოდერნიზაცია და შექმნან რიცხვულ-პროგრამული მართვის ჩარხების უბანი. გარდა ამისა, ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა მომდინარე წლის სამ დღეს იმუშაოს დაზოგილი სათბობ-ენერგეტიკული და მატერიალური რესურსებით.

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წლის დამლეგამდე დადგენილი გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან 800 ათასი მანეთის პროდუქცია, 2,9 პროცენტით გაზარდონ გეგმით გათვალისწინებული შრომის ნაყოფიერება, საშეალო დარგობრივ დონემდე შეამცირონ სამუშაო დროის დანაკარგები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ამ კოლექტივების ინიციატივა და მოუწოდა გაავრცელონ იგი რესპუბლიკის ყველა შრომითს კოლექტივში. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომს, სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებსა და რესპუბლიკურ კომიტეტებს დაეგალათ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების, სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიების სხდომებზე, სამშენებლო ორგანიზაციებსა და სამრეწველო საწარმოების შრომითს კოლექტივებში ინიციატივის განხილვის — „პარტიის XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური კვირა“ — გავრცელებისა და განვითარების ღონისძიებანი. მიზანშეწონილად ცნეს უფრო ფართოდ გაიშალოს ბრიგადების, უბნების, საამქროებისა და ორგანიზაციების, სახალხო მეურნეობის დარგების სოციალისტური შეჯიბრება მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ყველგან და ყველაფერში ეკონომიკის ინტენსიფიკაციის გადამწყვეტ ადგილზე დადგა ადამიანის სიყვარული და რწმენა...

დრო ხელოვნის უკეთესის ყველაზე საუკეთესო შემფასებელია, ეგი შეუცდომლად განსაზღვრავს იმ ადგილს, რომელიც უნდა დაიმკვიდროს ამა თუ იმ პიროვნებამ რჩეულთა რიგში. და ნოდარ დუმბაძეს სამართლიანად დაიკავა ადგილი დიდ შემოქმედთა შორის, ჩვენს სულიერ კულტურას რომ წარმოადგენენ.

კონსტანტინე სიმონოვი ძალიან კარგად წერდა ერთ თავის გარდაცვლილ მეგობარზე: „ტყუილია, მეგობარი არ კვდება, მხოლოდ

(დასასრული მე-8 გვ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და საკავშირო პროფსაბჭოში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო და საინჟინრო შრომის საზოგადოებრივი აღიარების გაფართოებას, საქმიანობის შედეგებით მეცნიერი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დაინტერესების გაძლიერებას, ნაკლები მუშახელით სამუშაოთა ხარისხიანი შესრულების სტიმულირებას და ამ საფუძველზე მათი ანაზღაურების დონის ამაღლებას. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა სხდომამ და საკავშირო პროფსაბჭომ მიიღეს დადგენილება „ორეულელობის მეცნიერი მუშაკების, კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგების შრომის ანაზღაურების სრულყოფის შესახებ“.

დადგენილების მიზანია გაძლიერდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, უმაღლესი მსოფლიო დონის შესაბამისი ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნით და სახალხო მეურნეობაში დანერგვით მრეწველობის მეცნიერი მუშაკების, კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგების მატერიალური და მორალური დაინტერესება.

დასახულია, 1986 წლიდან დაწყებული, განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს შრომის ორგანიზაცია:

მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მეცნიერ-მუშაკების, კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგების;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების მეცნიერ მუშაკების, კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგების.

შრომის ანაზღაურების ახალი პირობები ინერგება შესაბამისი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელფასის ფონდებში ბარეზ და ფარგლებში, ხოლო მრეწველობის საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში — ხელმძღვანელი, სპეციალისტ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ხელფასის დაგროვილი ფონდების ფარგლებში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის გათვალისწინებულია მეცნიერი მუშაკების შრომის ანაზღაურების ორი კატეგორია სამის ნაცვლად. ინერგება მათი თანამდებობრივი სარგოების ახალი ოდენობა. ამასთან ინერგება ტექნოლოგთა სარგოები გაიზარდა შესაბამისი კატეგორიების ინჟინერ-კონსტრუქტორთა სარგოების დონემდე.

დასახულია ამოცანა უზრუნველყოფთ მეცნიერ მუშაკთა, კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა შრომის ანაზღაურების უფრო მჭიდრო კავშირი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მათს ბიჯად წვლილთან. ამ მიზნით მრეწველობის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს ნება—მიეცათ ხელფასის ფონდის დაზოგვის გზით დანამატები დაუწესონ მეცნიერ მუშაკებს, კონსტრუქტორებსა და ტექნოლოგებს ყველაზე რთული და პასუხსაგები სამუშაოების შესრულებისათვის თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით, სხვა მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს — თანამდებობრივი სარგოს 30 პროცენტამდე ოდენობით, სამუშაოთა შესრულების საგეგმო ვადების პერიოდის ან სხვა პერიოდისათვის. დადგენილია, რომ აღნიშნული დანამატები უქმდება ან მცირდება, თუ არ დაიცავენ მუშაობის ან მისი ცალკეული ეტაპების დამთავრების ვადებს, დამაკმაყოფილებელი არ იქნება მისი ხარისხი, აგრეთვე, თუ დაარღვევენ შრომისა და საწარმოო დისციპლინას.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული ხუთწლეულიდან ერთხელ მაინც მოეწყოს მეცნიერი მუშაკების, კონსტრუქტორების, ტექნოლოგებისა და სხვა სპეციალისტების ატესტაცია. მუშაკთა აატესტაციისას უნდა შეფასდეს მათი შრომის ეფექტიანობა და ხარისხი, პირადი წვლილი მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, გამოკვლევებისა და ნამუშევრების სირთულე და დროულობა.

მრეწველობის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების, ხელმძღვანელებს მიენიჭოთ უფლება:

(დასასრული მე-8 გვ.).

სკკპ XXVII ყრილობის შესასვლელად

მოწინავეთა მხარდამხარ



„საქართველოს“ საწარმოო გაერთიანების ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის გვირახგამყვანი ვ. მერკვილაძე გაიცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მასალებს და ეკონომიკური განათლების სკოლაში მეცადინეობის დროს მან ამხანაგებს გაუზიარა თავისი აზრები. მათ მოიწონეს წინადადება და ასე იშვა სოციალისტური შეჯიბრების „ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის წარჩინებული მეცადინეთა თათბირი“. „მთელი საწარმოო პოტენციალი — ლენინური პარტიის ყრილობას“.

ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი ტყიბულის ყველა შახტის, ქალაქის სხვა საწარმოების კოლექტივებმა და იკისრეს ახალი საყრილობო ვალდებულებანი.

ვ. მერკვილაძე შთამომავლობითი მეალმაურეა. მრავალ წელიწადს შრომობდა შახტში მაგალითი, რომელიც დიდ სამამულო ომში დაიღუპა. შახტში მუშაობდა აგრეთვე მისი უფროსი ძმა ლადო, რომელიც ახლა პენსიაზეა. ოჯახური დინასტია გრძელდება. მეშახტე გახდა მისი შვილი ავთანდილიც. ამჟამად ძვირფასი თანამონაზის ინიციატორის სამუშაო კალენდარზე უკვე 1986 წელია.

სურათებზე: ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის წარჩინებული მეალმაურეები ვ. მერკვილაძე ცვლის შემდეგ; გვირახგამყვანი ვ. მერკვილაძე ტყიბულის № 19 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებთან გ. ტაბაძესთან, ა. ბუაკიძესთან და ე. კაციტაძესთან ერთად.

ზ. აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოკრონიკა)

ᲘᲣᲒᲘᲚᲐᲠᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). ეს იყო 1935 წლის მაისი, როცა სოფელ სუფსაში დამთავრდა ჩაის ფაბრიკის მშენებლობა. მაშინ ახალბედა საწარმო დღე-ღამეში 2 ტონა ჩაის ნედლეულს ამუშავებდა, სეზონში კი — 240 ტონას.

მას შემდეგ ჩაის ფოთლის კრეფის 50 სეზონმა ჩაიარა. ახლა ფაბრიკა ყოველწლიურად 4-5 ათას ტონა ფოთოლს ამუშავებს, (დღე-ღამეში 60 ტონამდე). იგი ერთ-ერთი მძლავრი ჩაის დამამუშავებელი საწარმოა რაიონში. იუბილარი ფაბრიკის კოლექტივი მთელი მონდომებით იბრძვის, რათა საიუბილეო სეზონში გამოუშვან სულ ცოტა 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ— 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფილიალი — ისე უწოდებენ ლენინის სახელობის შახტს (დირექტორი — გ. წაქაძე). იგი საყოველ ქვანახშირით ამარაგებს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას.

შახტში ტრადიციად დამკვიდრდა ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულება. ასე მოხდა ამჟამადაც, კოლექტივმა წლის პირველი ნახევრის გეგმა ვადაზე სამი დღით ადრე შეასრულა. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 6247 ტონა ქვანახშირი გაუგზავნა.

განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვს მეხუთე საკეპლოატაციო უბნის კოლექტივს, რომელსაც გამოცდილი სამთო ტექნიკოსი ბონდო ჩაფიძე უდგას სათავეში. მეხუთეუბნელებმა 6 თვის გეგმა ვადაზე რვა დღით ადრე შეასრულეს.

შახტის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ხუთწლედის გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულოს.

„მე ისევ ამქვეყნად დავრჩები“

— უნებლიეთ გაახსენდათ ნოდარ დუმბაძის ეს სიტყვები იმათ, ვინც ეროკრიბა მის სახლთან — ილია ჭავჭავაძის პროსპექტის შესახვევში, სადაც გასულ კვირას გადმართა მემორიალური დფეის გახსნა. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მიტინგზმი მონაწილეობდნენ მისი ბრწყინვალე ნიჭის მრავალრიცხოვანი პატივისმცემლები და თანამოკალმენი, მკითხველები. აქ მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გიოლაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ქორთელიშვილი, ამხანაგები გ. გაბუნია, გ. ენუქიძე, ბ. ნიკოლაკა, ტ. როსტიაშვილი, ს. ხაბეიშვილი, ო. ჩერქეზია, თ. მოსაშვილი, ქ. შარტავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ლორთკიფანიძე, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. მეხუთეშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

...14 ივლისს ნოდარ დუმბაძე 57 წლისა გახდებოდა. როგორ უმძიმდა ყველას, ვინც მოლოცვის ნაცვლად დამწუხრებული ფეტრობდა თავის გულში ადამიანისა და შემოქმედზე, რომელმაც ჩვენ — მის თანამედროვეებს, ყველას, ვინც პირადად იცნობდა მას და მის შემოქმედებას, ასე გულუხვად მოგვიძღვნა თავისი ნიჭი და სული. იგი ერთი ნახვისთანავე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა „ვეფხვზე“ და „ყველა — ახლობელსაც და მორეულსაც — უძღვნიდა თავისი გულის ნაწილს. თუმცა მწერალი როდი ყოფილა ადამიანებს ახლობლებად და მორეულებად. მისთვის ისინი მუდამ იყვნენ „მოყვასნი“, იგი შეხვედრის უბრალო ფაქტით აჩუქებდა მათ „მოყვასობად“. და განა ეს არ არის სიორეცხა, სრულიად აუხსნელი სიორეცხა. სხვანირად, ბატონო შეიძლება, კერძოდ, ავსნათ ის, რომ დღეს, მისი სიკვდილის შემდეგ, ნოდარ დუმბაძეს სწერენ მკითხველები ქვეყნის ყველა კუთხიდან, უცხოეთიდან; სწერენ როგორც ცოცხალს, მადლობას უხდიან მის მიერ შექმნილი წიგნებისთვის, რომლებსაც მოაქვს სიკეთე, სინათლე, მზის სხივები, ადამიანის სიყვარული და რწმენა...

დრო ხელოვნის უკეთესის ყველაზე საუკეთესო შემფასებელია, ეგი შეუცდომლად განსაზღვრავს იმ ადგილს, რომელიც უნდა დაიმკვიდროს ამა თუ იმ პიროვნებამ რჩეულთა რიგში. და ნოდარ დუმბაძემ სამართლიანად დაიკავა ადგილი დიდ შემოქმედთა შორის, ჩვენს სულიერ კულტურას რომ წარმოადგენენ.

კონსტანტინე სიმონოვი ძალიან კარგად წერდა ერთ თავის გარდაცვლილ მეგობარზე: „ტყუილია, მეგობარი არ კვდება, მხოლოდ

(დასასრული მე-8 გვ.).

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

12 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ თბილისში გაიმართა საქართველოს პარტიულ-საბჭოური აქტივის კრება, რომელსაც დასახა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა შრომელის ინიციატივის და შემოქმედების უფართოდ გაშლის, ეკონომიკის ინტენსიფიკაციის საკვანძო პრობლემების გადაწყვეტაში მათი აქტიური ჩაბმის ეკონომიკური პროგრამის, კრების მონაწილეებმა გაიხარეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებების, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საკითხისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირზე ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების მიხედვით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ყველა სფეროში ეფექტიანი მუშაობისათვის შინაგანი რეზერვების ძიებისა და გამოყენების მაგისტრალურ მიმართულებებს.

მომხსენებელმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა, ორატორებმა საქმიანად, მომთხოვნელად განიხილეს ძირეული საკითხები, აქტუალური პრობლემები, რომელთა კომპლექსურ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, სახალხო მეურნეობის განვითარების ინტენსიურ რელსებზე გადაყვანის ტემპი. მათ ძირითადად ყურადღება დაუთმეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ყველა სფეროში ეფექტიანი მუშაობისათვის შინაგანი რეზერვების ძიებისა და გამოყენების მაგისტრალურ მიმართულებებს.

ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ შეიძინა სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის მართვის სრულყოფისათვის, სამეცნიერო კვლევის ეფექტიანობის ამაღლებისათვის შემობის გარკვეული გამოცდილება. ამ საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1982 წლის მაისში გამართულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა, რომელმაც განიხილა მეცნიერების, განათლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხები საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების უფელმეტრიზე გადიდების, უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაჩქარებული გადაჭრის ამოცანებად კვანძირათ.

მეცნიერებისა და ტექნიკის დანერგვის ბაზაზე რესპუბლიკის ეკონომიკის ინტენსიფიკაციის გადამწყვეტ ღონისძიებათა საჭიროებამ განსაზღვრა პლენუმის ძირითადი დებულება: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უპირველესი პარტიული საზრუნავია. მთავარი ამოცანა იყო მეცნიერებისაკენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივ ეფფორმირებების, ყველა რანგის — მინისტრით დაწყებული და ბრიგადირით დამთავრებული — ხელმძღვანელების შემობრუნება.

ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საყოფილებისა საბჭო ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თავმჯდომარეობით. ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, რომლებიც შედიან საბჭოში, სათავეში ჰყიდნენ ძირითადი დარგობრივი სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისა და უმნიშვნელოვანესი დარგთშორისი პრობლემების სექციებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობას. ანალოგიური საბჭოები შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პარტიულ კომიტეტებთან.

რესპუბლიკური საყოფილებისა საბჭოს სამი წლის საქმიანობა ეფექტიანი აღმოჩნდა. მის სხდომებზე იხილავენ ყველაზე სასიცოცხლოს საკითხებს, ერთ-ერთ ასეთ საკითხად ითვლება: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი უპირველესი პარტიული საზრუნავია. მთავარი ამოცანა იყო მეცნიერებისაკენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივ ეფფორმირებების, ყველა რანგის — მინისტრით დაწყებული და ბრიგადირით დამთავრებული — ხელმძღვანელების შემობრუნება.

ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საყოფილებისა საბჭო ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თავმჯდომარეობით. ცენტრალური კომიტეტის მდივნები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, რომლებიც შედიან საბჭოში, სათავეში ჰყიდნენ ძირითადი დარგობრივი სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისა და უმნიშვნელოვანესი დარგთშორისი პრობლემების სექციებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობას. ანალოგიური საბჭოები შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პარტიულ კომიტეტებთან.

რესპუბლიკური საყოფილებისა საბჭოს ამავე დროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სახელმწიფო ორგანოების მაგვრამის კი არ ეწევა, არამედ დახმარებას უწევს მათ უფრო ეფექტიან ფუნქციონირებაში. მაგალითად, ბოლო თვეში გაიზარდა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და ტექნიკის მდგომარეობა. ამ მიზნით ცენტრალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი ეფექტიანობის ეკონომიკურ-სოციალურ ინსტიტუტ-ეფექტიანობის ეკონომიკურ-სოციალურ ინსტიტუტ-ეფექტიანობის ეკონომიკურ-სოციალურ ინსტიტუტ-ეფექტიანობის ეკონომიკურ-სოციალურ ინსტიტუტ-ეფექტიანობის ეკონომიკურ-სოციალურ ინსტიტუტ-ეფექტიანობის ეკონომიკურ-სოციალურ ინსტიტუტ-ეფექტიანობის ეკონომიკურ-სოციალურ ინსტიტუტ-ეფექტიანობის ეკონომიკურ-სოციალურ ინსტიტუტ-ეფექტიანობის ეკონომიკურ-სოციალურ ინსტიტუტ-ეფექტიანობის ეკონომიკურ-სოციალურ ინსტიტუტ-ეფექტიანობის ეკონომიკურ-სოციალურ ინსტიტუ

(ᲒᲐᲬᲠᲐᲪᲚᲔᲑᲐ მე-8 გვ.).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1985 წლის 14 ივლისს 47 წლის უეცრად გარდაცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ პროკურორი

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ,

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრნი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატნი, საქართველოს სსრ პროკურორის დასაკრძალვად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნა მმავრობის კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ო. ვ. ჩერქეზია (თავმჯდომარე), ი. ო. ანდრიაძე, ზ. ბ. ახვლედიანი, გ. ი. გეგეჭკორი, ა. ბ. კორანელი, ო. ვ. ლაშარაშვილი, ზ. შ. მესხიშვილი, ვ. ა. რაზმაძე, ნ. ნ. საჯაია, ა. ა. შუშანაშვილი.

ა. ვ. ბარბაძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ეკონომიკის ინტენსიფიკაციის კურსით

(გაგრძელება)

ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენებისადმი სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და საბჭოთა მუშაკების დამოკიდებულების ძირეული შეცვლა, თვით მეცნიერთა პასუხისმგებლობისა და დაინტერესების ზრდა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში მონაწილეობა ხელს უწყობს ადამიანების აღზრდას, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დისციპლინის განმტკიცებაზე, ორგანიზებულობის გადიდებაზე, ფართოდ აზროვნების გამომუშავებაზე.

ორატორებმა მოიყვანეს სხვა, უფრო კონკრეტული მაგალითებიც. შარშან საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულება ას პროცენტს მიუახლოვდა (როგორც ღონისძიებათა რაოდენობის, ისე სამუშაოთა მოცულობის მიხედვით), ახალი ტექნიკის საგეგმო ღონისძიებათა დანერგვის ეკონომიკური ეფექტი 1981-1984 წლებში ერთიორად გაიზარდა, ამ პერიოდში აკადემიის ინსტიტუტების ნამუშევრების გამოყენების შედეგად მიღებულმა ეფექტმა 65 მილიონი მანეთით გადააჭარბა მთელი წინა ხუთწლეულის მაჩვენებელს. თორმეტი პროცენტით და მეტად შემცირდა ხელის შრომის ხვედრითი წილი მრეწველობაში.

მაგრამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ივნისის თათბირზე დასახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ფართო მასშტაბის ამოცანათა მიხედვით, მიღწეული მხოლოდ პირველი ნაბიჯია წარმოების ნამდვილი მეცნიერულ-ტექნიკური განახლების, შრომის ნაყოფიერების კარდინალური გადიდების გზაზე.

ახალი მიჯნებისაკენ

სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანა, ხაზგასმით აღნიშნა კრებამ, მარტო სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპის დაჩქარება როდია. საქმე ეხება ახალ თვისებრივ ზრდას, განვითარების ინტენსიურ რელსებზე გადასვლას, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებებით სწრაფ წინსვლას, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას, მართვის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების გამოყენებას, სოციალური პრობლემების უფრო სრულად გადაჭრას. გადაუდებელი საერთო-პარტიული და საერთო-სახალხო საქმეა სახალხო მეურნეობის ახალი ტექნიკური რეკონსტრუქციის განხორციელება, საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვისებრივი გარდაქმნა.

დასახულია ძირითადი კონკრეტული მიჯნები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობამ უნდა მიაღწიოს მიმდინარე საუკუნის დამლევისათვის: შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს სულ ცოტა 2,3-2,5-ჯერ, ხელის შრომის წილი საწარმოო სფეროში შემცირდეს 55-დან 15-20 პროცენტამდე, 1,4-ჯერ შემცირდეს ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა, ლითონტევადობა კი თითქმის ერთიორად, დაძლეულ იქნეს ფონდუკუგების შემცირების ტენდენცია და გადაჭრით გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი.

სწორედ ამ მაღალი მიჯნების მიღწევის გათვალისწინებით გააანალიზეს კრებაზე რესპუბლიკის ეკონომიკის მდგომარეობა.

70-იანი წლების დამდეგიდან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებას მაღალი დინამიზმი ახასიათებს: რესპუბლიკაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების დამახასიათებელ ძირითად მაჩვენებელთა ზრდის ტემპი აღემატება საშუალო საკავშიროს. დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, უნდა განვაგრძოთ ეს ტრადიცია და მის დასამკვიდრებლად ყურადღება დავუთმოთ ნაკლოვანებებს, ხარვეზებს, გამოუყენებელ რეზერვებს.

უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობაში შეიმჩნევა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის შენელების ტენდენცია. საშუალო წლიური მაჩვენებლები აქ ასეთია: მეცხრე ხუთწლედში —5,6 პროცენტი, მეათეში — 4,9, მეთერთმეტეში (მოსალოდნელი) —3,5 პროცენტი. საიმისოდ კი, რომ 2000 წლისათვის შრომის ნაყოფიერება 2,5-ჯერ გაიზარდოს, მთელ დარჩენილ პერიოდში უნდა უზრუნველვყოთ მატების საშუალო წლიური ტემპი, რომელიც 6 პროცენტს აღემატება.

რეალურია თუ არა ამ ამოცანის გადაწყვეტა? უთუოდ, რეალურია, თუმცა საქმე გვექნება რთული ურთიერთდაკავშირებული პრობლემების კომპლექსთან. მტკიცედ უნდა დავძლიოთ საშუალო საკავშირო დონისაგან მრეწველობის მთელი რიგი დარგების ჩამორჩენა. მაგალითად, ელექტროენერგეტიკა შრომის ნაყოფიერების დონის მიხედვით ჩამორჩება 35 პროცენტით, შავი მეტალურგია — 40, ფერადი, — 50 პროცენტით.

რესპუბლიკის საწარმოებში დიდია მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობის რაოდენობა, დაბალია საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, სიმძლავრეთა გამოყენების დონე. სრულყოფილი არ არის ძირითადი სამრეწველო-საწარმოო ფონდების სტრუქტურა, რომელთა აქტიური ნაწილი 34,4 პროცენტს არ აღემატება, მაშინ როცა მთლიანად ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 39,4 პროცენტს შეადგენს. ამასთან დაკავშირებით კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვნად უნდა დაჩქარდეს ძირითადი სამრეწველო საწარმოო ფონდების განახლების ტემპი. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ყოველ წინა წელთან შედარებით 1-3 პროცენტით შემცირდა ფონდუკუგება. 100-პროცენტიანი დონის მიღწევა დამატებით მოგვცემს 724 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციას.

დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებენ ტექნიკას სოფლის მეურნეობაში. ფონდაღჭურვილობის გადიდების ტემპი აქ მნიშვნელოვნად უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რომელიც ბევრად ფერხდება სამუშაო დროის არარაციონალური გამოყენების გამო. სამუშაო დროის დანაკარგები მრეწველობაში გაცდენების, მთელდღიანი და ცვლებშიგა მოცდენების, ადმინისტრაციის ნებართვით გამოუცხადებლობის გამო ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე შრომის ნაყოფიერებას 3,2 პუნქტით შემცირების ტოლფასია. გაცილებით უარესად, ვიდრე მთლიანად რესპუბლიკაში, იყენებენ სამუშაო დროს ხილბოსტნეულის მეურნეობის, კვების მრეწველობის, მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებში, კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველოში, „საქყოფქიმიის" საწარმოო გაერთიანებასა და ფოთის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელ ქარხანაში.

სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში მეტია გამოუყენებელი რეზერვები, ვიდრე მრეწველობაში. ასეთ დასკვნამდე მივყავართ, კერძოდ, პროდუქციის წარმოებისათვის შრომის ეკონომიკურად დასაშვები დანახარჯების ანალიზს. ჯერ კიდევ ფართოა ხელის შრომის გამოყენების სფერო. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ხუთწლედის დამლევისათვის ხელის შრომით დასაქმებული იქნება დაახლოებით 500 ათასი კაცი.

მშენებლობაში მუშათა დაახლოებით 60 პროცენტი ხელის შრომით არის დასაქმებული. ამავე დროს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მიერ შემუშავებული ხელის შრომის მექანიზაციის მიზნობრივი პროგრამა ითვალისწინებს მთელი მეთორმეტე ხუთწლედის მანძილზე მხოლოდ 2-3 პროცენტით მის შემცირებას. ხელის შრომის ხვედრითი წილი დაახლოებით 50 პროცენტს შეადგენს ხორცისა და რძის მრეწველობის, ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროებში, გამსახკომში, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირში", თბილისის ქარხნებში „აგრეგატსა" და „საქსოფლმანქანაში", მთელ რიგ სხვა საწარმოებში. თითქმის ათი წელია 65 პროცენტის დონეზეა ხელის შრომით დასაქმებული დამხმარე მუშების რიცხვი. ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ პროდუქციის შრომატევადობის შემცირების მოწინავე გამოცდილებას, რომელიც შექმნილია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში", მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, სატრანსპორტო საწარმოებსა და ორგანიზაციებში. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უფრო ეფექტიანი უნდა გახადონ ხელის შრომის მექანიზაციის რესპუბლიკური პროგრამა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საწარმოო პროცესების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

დიდი რეზერვებია მასალების, ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვაში. კრებაზე, კერძოდ, ითქვა, რომ 1985 წელს მეათე ხუთწლედის უკანასკნელ წელთან შედარებით ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა 7,8, ხოლო ლითონტევადობა — 21,9 პროცენტით შემცირდება. შარშან ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის შესაქმნელად დაიხარჯა 151 ათასი ტონით ნაკლები შავი ლითონების ნაგლინი, მილიონი ტონით ნაკლები ცემენტი, 785 ათასი პირობითი ტონით ნაკლები ბენზინი და დიზელის საწვავი, ვიდრე საჭირო გახდებოდა 1980 წლის ნორმების მიხედვით. მაგრამ ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ იჩენს თავს უყაირათობა და მფლანგველობა, ცალკეული სამინისტროები და უწყებები ურიგდებიან ერთმანეთს სასაქონლო პროდუქციაზე მატერიალური დანახარჯების ზრდას.

ახლა უაღრესად საჭიროა, აღინიშნა კრებაზე, რომ ყველა ეს პრობლემა კონცენტრირებულად აისახოს წლიურ და პერსპექტიულ გეგმებში, უწინარეს ყოვლისა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში.

ეს იოლი ამოცანა როდია. მას ართულებს ისიც, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკა ვერ აღწევს დაგეგმილ მიჯნებს. ამიტომ პარტიულ, საბჭოთა, საგეგმო, სამეურნეო ორგანოებს ახლა არა აქვთ იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ის, რომ იმუშაონ ძირითად მიმართულებათა პროექტზე, დახვეწონ მისი ცალკეული პარამეტრები, რათა თითოეულ შრომით კოლექტივს მიზნად დაუსახონ საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

ამავე დროს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სახმშენმა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა დაძლიონ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმის ერთგვარი განცალკევება, მოწყვეტა სახელმწიფო გეგმის სხვა განყოფილებებისაგან, გააძლიერონ მისი გავლენა საბოლოო, განმსაზღვრელ მაჩვენებელთა ფორმირებაზე, უნდა გავაფართოოთ განსაკუთრებულ კონტროლს დაქვემდებარებულ მაჩვენებელთა წრე, რომლებსაც ვაღწევთ მრეწველობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის შედეგად, აგრეთვე გავავრცელოთ ისინი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებზე.

გეგმების ჩამოყალიბებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გადიდება. უწინარეს ყოვლისა ეს გულისხმობს დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას. აქ არის გარკვეული დადებითი ძვრები. მიმდინარე წლის დამლევისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდება და 70 პროცენტს შეადგენს. მაგრამ მთელ რიგ დარგებსა და რეგიონებში გაცილებით უარესი მდგომარეობაა. ეს არის ისეთი დარგები, როგორიცაა „საგზაო მეურნეობა", „კომუნალური მშენებლობა", „ჯანმრთელობის დაცვა", დაუმთავრებელი მშენებლობის დიდი მოცულობა აქვთ ენერგეტიკის, ნავთობის მრეწველობის, ქვანახშირის მრეწველობის, მძიმე მანქანათმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, გზათა სამინისტროების ორგანიზაციებს.

შემთხვევით როდი აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, რომ ბევრი სამინისტროსა და საწარმოს ხელმძღვანელები ცდილობენ სახელმწიფოს გამოგლიჯონ რაც შეიძლება მეტი კაპიტალდაბანდებანი, ჩარხები და მანქანები, ნედლეული და სათბობი, და ამავე დროს ხშირად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მათს რაციონალურ გამოყენებას კაპიტალურ მშენებლობაში. ბევრ ობიექტს ძალიან დიდხანს აშენებენ, მკვდარდება დიდძალი მატერიალური ფასეულობანი, ყოვნდება სიმძლავრეთა ზრდა, ქვეყანა დროზე ვერ იღებს საჭირო პროდუქციას.

ეს მთლიანად და სავსებით ჩვენს რესპუბლიკასაც ეხება, აღინიშნა კრებაზე. მაგალითად, ძირითადი ფონდების ამოქმედება ჯერჯერობით ჩამორჩება დანარჩენ მაჩვენებლებს. იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა სამშენებლო ორგანიზაციებისა და შემკვეთების მთავარი მიზანი. ცალკეული რეგიონების სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გამოყენების ანალიზი ადასტურებს, რომ გეგმების ჩამოყალიბებისას მათი ხელმძღვანელები ჟიუტად ცდილობენ მიაღწიონ ლიმიტების გამოყოფას მოცულობით, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება ათვისების რეალურ შესაძლებლობებს. ამის შედეგად ისინი ვერ ითვისებენ კაპიტალდაბანდებებს, რომლებიც იკარგება. მარტო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს ხაზით 1984 წელს ზარალმა 12,5 მილიონი მანეთი შეადგინა, საკავშირო დაქვემდებარების უწყებებში კი 21,8 მილიონი მანეთი. ხშირად ჭიანურდება უკვე ამოქმედებულ სიმძლავრეთა ათვისება.

ყოველივე ამას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოვუღოთ, მოითხოვეს ორატორებმა. საქმე უნდა ეხებოდეს არა მარტო სხვისი მოიმედეობის განწყობილებებთან ბრძოლას, არამედ თითოეულ რეგიონში, თითოეულ სამინისტროსა და უწყებაში, თითოეულ გაერთიანებასა და საწარმოში ეკონომიკური ზრდის ყველა რეზერვის გეგმიან გამოყენებასაც.

გავზარდოთ მანეთის უკუგება

დღევანდელობის ამოცანაა საწარმოთა ტექნიკური განახლება, რესურსების დაზოგვა, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. დროა ხელი ავიღოთ მეურნეობრიობის სტერეოტიპზე, რომლის დროს წარმოების გაფართოების ძირითად მეთოდად ითვლებოდა ახლის მშენებლობა, მაშინ, როცა მოქმედ საწარმოებს დიდი ხნის განმავლობაში ტექნიკურად არ აახლებდნენ, როცა მათ ყველაფერს გამოსწურავდნენ და ძალიან ცოტა რამეს თუ აძლევდნენ გასაუმჯობესებლად.

როგორია ამ თვალსაზრისით ვითარება რესპუბლიკაში? 1981 წლიდან საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების დანახარჯები დღენიადაგ იზრდება. ხუთწლედის განმავლობაში გაიზარდა ელექტროენერგიის, კაპრონის ძაფის, ამონიუმის სულფატის, ტრიკოტაჟის ნაწარმის, კონსერვების წარმოების სიმძლავრეები, ჩაის ფოთლის, ყურძნისა და სხვა ნედლეულის გადამუშავების სიმძლავრენი. განხორციელდა ან მიმდინარეობს ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის მნიშვნელოვანი სამუშაოები თბილისის საავიაციო და ელმავალსაშენებელ, ქუთაისის საავტომობილო, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებში, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმში". სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში. დადებითი გამოცდილებაა შექმნილი რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებში.

მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედში რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების საწარმოო დანიშნულების კაპიტალური დაბანდებანი თითქმის 2 მილიარდ მანეთს შეადგენს, დაახლოებით 43 პროცენტით მეტს, ვიდრე წინა ხუთწლეულში. 1981-1984 წლებში მათი ხვედრითი წილი კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში 27,9 პროცენტიდან 32,4 პროცენტამდე გაიზარდა.

მნიშვნელოვნად გააქტიურდა მუშაობა სოფლის მეურნეობის მოქმედი ობიექტების გაფართოება-რეკონსტრუქციისათვის. მიმდინარე ხუთწლედში დაიწყო შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაციის პროგრამის განხორციელება მეცხოველეობაში. განახლდა სარწყავი სისტემები 14 ათას ჰექტარზე. აღებულია ახალი მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობის მკვეთრი შემცირების კურსი, რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება განხორციელდა პრაქტიკულად ყველა მოქმედ საწარმოში.

ამავე დროს, თქვეს ორატორებმა, ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა დაგეგმვასა და ორგანიზაციას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. ტექნიკური განახლების ხარჯების ხვედრითი წილი (17,1 პროცენტი, რაც 7,4 პროცენტით ნაკლებია საშუალო საკავშიროზე) ვერ უზრუნველყოფს მოწყობილობის საჭირო განახლებას, ნორმატიულზე ერთნახევარჯერ და მეტად დაბალია ფაქტობრივად მანქანების გამოკლება, მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მანქანების შესაცვლელად იყენებენ რესპუბლიკაში მიღებული მოწყობილობის მხოლოდ მეოთხედს, მისი მეტი ნაწილი კი ხმარდება წარმოების გაფართოებას. ასე იქცევა, მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, თუმცა იმ მოწყობილობის ხვედრითი წილი, რომელსაც ოც წელზე მეტია ექსპლოატაციას უწევენ, აქ 11 პროცენტს აღემატება, აბრეშუმისა და ტყავ-ფეხსაცმლის ქვედარგებში კი შესაბამისად 33 და 19 პროცენტს. ხუთწლედის მანძილზე დარგში პრაქტიკულად არ გაზრდილა ავტომატური მოწყობილობის ხვედრითი წილი.

ადგილობრივ მრეწველობაში ორ ათწლეულზე მეტია ექსპლოატაციას უწევენ ლითონსაჭრელი ჩარხების, ხის დამმუშავებელი და სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობის პარკის დაახლოებით მეოთხედს. ამავე დროს მიმდინარე ხუთწლედის დამდეგიდან შეძენილი 351 ერთეული სამჭედლო-საწნეხი, ლითონდასამუშავებელი მოწყობილობის მხოლოდ ნახევარს იყენებენ მოძველებული მოწყობილობის შესაცვლელად.

ტექნიკურად მთლიანად უნდა განახლდეს მშენინდუსტრიის საწარმოთა 60 პროცენტზე მეტი, შესაცვლელია ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობის დაახლოებით ნახევარი ძველ ჩაის ფაბრიკებში.

1986 წლის გეგმის პროექტში რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების მოცულობის ზრდა 13 პუნქტით უსწრებს საწარმოო დანიშნულების კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობის მატებას. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ამ მიზნით დანახარჯების ხვედრითი წილი 27,5 პროცენტს არ აღემატება. ამიტომ უაღრესად საჭიროა, თქვეს გამოსულმა ამხანაგებმა, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უზრუნველყოს ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის კრებსითი გეგმის როლის გაძლიერება, როგორც წლიური და ხუთწლიანი გეგმების დამოუკიდებელი განყოფილებისა, მისი უპირატესი შემუშავება, ხოლო სამინისტროებმა და უწყებებმა გადასინჯონ თავიანთი წინადადებანი სოლიდურ საინჟინრო-ეკონომიკურ ბაზაზე. რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების საკითხები უნდა აისახოს ორმხრივ ღონისძიებებში, რომლებსაც საკავშირო სამინისტროებთან ერთად ამტკიცებენ.

მშენებლობის საერთო მოცულობაში მოქმედი ობიექტების რეკონსტრუქციისა და გაფართოების ხვედრითი წილის გადიდება უნდა გავითვალისწინოთ 1986-1988 წლების ექსპერიმენტის განხორციელების დროსაც, რომელიც მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით. იგი ითვალისწინებს რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებისათვის მხოლოდ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო სამუშაოთა ლიმიტების მიცემას, ყველა დანარჩენი საკითხი კი გადაწყდება ადგილებზე, მეურნეობებში. ახალი მშენებლობა აკრძალული არ არის, მაგრამ იგი უნდა ვაწარმოოთ აუცილებლად ეკონომიკური და სოციალური მიზანშეწონილობის შესაბამისად.

სწორი ტექნიკური პოლიტიკის, რეკონსტრუქციის, ტექნიკური განახლების, ახალი მშენებლობის ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრა მოითხოვს საწარმოო ფონდების საყოველთაო ინვენტარიზაციას, თითოეულ საწარმოში, თითოეულ დარგში ტექნიკური განახლების პერსპექტიული პროგრამის შედგენას. ამ მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, სახმშენი და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

კრებაზე განსაკუთრებული სჯაბაასი გაიმართა მანქანათმშენებლობის შესახებ, რომელსაც საკვანძო როლი განეკუთვნება სახალხო მეურნეობის ტექნიკურ განახლებაში. მისი ნაწარმის ხვედრითი წილი სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში განუხრელად იზრდება. წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მთლიანად დარგში მნიშვნელოვნად უსწრებს შესაბამის საკავშირო მაჩვენებლებს. მაგრამ აქაც რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების ღონისძიებებს მეტწილად არაკომპლექსური, ლოკალური ხასიათი აქვს. აშკარად საკმარისი არ არის ამ მიზნით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა. უფრო მეტიც, 1985 წელს იგი დაგეგმილია უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე წინა სამ წელიწადში.

იმ მოწყობილობის წილი, რომელსაც 20 წელზე მეტი ხანია ეწევა ექსპლოატაციას მანქანათმშენებლობაში 14 პროცენტს შეადგენს. მოძველებული მანქანებისა და მოწყობილობის დემონტაჟი ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ნორმატიულს 1,9-ჯერ ჩამორჩება. ძირითადი ფონდების ზენორმატიული ცვეთა არა მარტო აუარესებს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, არამედ დამატებით შრომით რესურსებსაც მოითხოვს იმისათვის, რომ შევუნარჩუნოთ მოწყობილობას სამუშაო მდგომარეობა.

იმ საწარმოთა შორის, რომლებიც სერიოზულად ჩამორჩებიან თავიანთი ტექნიკური დონით თანამედროვე მოთხოვნებს, კრებაზე დაასახელეს გაერთიანება „კავკასტრანსფორმატორი", წნორის მექანიკური ქარხანა, ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელი", რუსთავის ამწესაშენებელი ქარხანა და ზოგიერთი სხვა საწარმო. არადა, წარმოების ტექნიკური დონე ხომ მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის დონესაც განსაზღვრავს!

ორატორებმა მოიყვანეს თბილისის ავიამშენებელთა მაგალითი, სადაც წარმოების რეკონსტრუქციისა და განახლების პრობლემები ყველაზე მოწინავე ტექნიკის გამოყენების ბაზაზე წყდება. ქარხანაში, კერძოდ, შექმნილია რობოტტექნიკის სპეციალური ბიურო. მოქმედებს რობოტიზებული უბანი სახალხო მოხმარების საქონლის სხვადასხვა დეტალის ტვიფრისათვის.

მთლიანად მანქანათმშენებლობა, ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტროტექნიკა, რადიოტექნიკა, ერთი მხრივ, უნდა იძლეოდნენ მოქნილი ავტომატიზებული წარმოებების, როტორული და როტორულ-კონვეიერული ხაზების, გამოთვლითი ტექნიკის, ავტომატიზებული დაპროექტების სისტემების გამოყენების მაგალითს, მეორე მხრივ კი გამარევოლუციებელ ზემოქმედებას ახდენდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგზე.

ახლა ეს მუშაობა რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გააქტიურდა. მაგრამ დროა იგი გადავიყვანოთ სისტემურ-კომპლექსურ საფუძველზე, გადავიდეთ უკვე მოქმედი ათობით რობოტტექნიკური კომპლექსიდან და კომპლექსურ-ავტომატიზებული ხაზიდან მოქნილ ავტომატიზებულ საწარმოო სისტემებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების მატებასა და პირობების გაუმჯობესებას, რიტმულობას და ხარისხის ამაღლებას, წარმოების უმტკივნეულო გარდაქმნის შესაძლებლობას. ასეთი სისტემები უახლოეს წლებში უნდა შეიქმნას უკვე შემუშავებული მეცნიერულ-ტექნიკური კონცეფციების ბაზაზე თბილისის საავიაციო და ქუთაისის საავტომობილო ქარხნებში, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის გაერთიანებაში, აგრეთვე „აზოტის", „ელვის", „ანალიზხელსაწყოს" გაერთიანებებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „მიონსა" და მის ქარხანაში.

მაგრამ რა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე შეიძლება ვილაპარაკოთ, თუ არ გავაძლიერეთ ბრძოლა მფლანგველობასთან ეკონომიკაში, განაცხადეს ორატორებმა. რესპუბლიკაში საკმაოდ აქტიურად არ ინერგება რესურსდამზოგავი და უნარჩენო ტექნოლოგიები, სისტემატურად არ სრულდება პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის სახელმწიფო გეგმები. მნიშვნელოვნად უფრო ფართო მასშტაბით უნდა გამოვიყენოთ პროგრესული მასალები, მეორეული რესურსები, ენერგიის განახლებადი წყაროები.

სახმომარაგებამ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, მეცნიერებათა აკადემიამ და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სერიოზულად უნდა მოიფიქრონ, რა მეთოდებითა და რა ვადებში შეიძლება დავაკმაყოფილოთ სათბობზე, ნედლეულსა და მასალებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა მატების 75-80 პროცენტი მათი ეკონომიის გზით. რესურსების დაზოგვა საერთოდ მუშაობისა და კერძოდ საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი უნდა გახდეს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოების ორგანიზაციის, შრომის კულტურისა და დისციპლინის დონის ყველაზე ობიექტური და განმსაზღვრელი მაჩვენებელი, როგორც სამართლიანად აღნიშნეს ორატორებმა, პროდუქციის ხარისხია. მიმდინარე ხუთწლედში პოზიტიური ძვრები მოხდა ნაწარმის ტექნიკურ-ეკონომიკურ და ესთეტიკურ დონეში. ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითმა წილმა საატესტაციო პროდუქციის საერთო მოცულობაში 1984 წლის შედეგებით 50,6 პროცენტს მიაღწია. ეს საუკეთესო მაჩვენებელია მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

და მაინც, პროდუქციის ხარისხი, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, რესპუბლიკის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ადგილი, მრავალი სიძნელისა და პრობლემის წყაროა. თითქოს, სწორედ მანქანათმშენებლობის პროდუქცია უნდა იყოს ყველაზე ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი, მათ შორის საგარეო ბაზარზე. მაგრამ იგი, ჩვეულებრივია, ტექნიკური პარამეტრებით, ლითონტევადობით, ხანგამძლეობით ჩამოუვარდება საუკეთესო საზღვარგარეთულ და, კაცმა რომ თქვას, საბჭოურ ნიმუშებსაც. მიმდინარე ხუთწლედში მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მეცნიერულ-ტექნიკური კომისიების მიერ შეფასებული პროდუქციის თითქმის მესამედი საჭიროებს მოდერნიზაციას ან უნდა მოიხსნას წარმოებიდან.

ბევრ რამეს მოწმობს გასული წლის მანძილზე რესპუბლიკის ექსპორტის სტრუქტურა. სათბობ-ენერგეტიკული ჯგუფის საქონელმა შეადგინა 42,7 პროცენტი, სასურსათო საქონელმა და ნედლეულმა მათი წარმოებისათვის — 33,8, შავი მეტალურგიის პროდუქციამ — 15,2 და მანქანებმა და მოწყობილობამ კი სულ 4,6 პროცენტი. ზოგჯერ ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ადგილებზე ვალუტით ნაყიდი მოწყობილობის გამოყენებას. დაუდგმელი მოწყობილობის სასაწყობო მარაგის ოცდაათი პროცენტი იმპორტულია. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის, ისევე როგორც საერთოდ ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის საქმეში, საფუძვლიანად უნდა იმუშაონ აგრეთვე, სახსტანდარტის სამმართველოს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის აპარატებმა და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტმა.

მეცნიერების საფუძვლიანი სიტყვა

სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზი მეცნიერებაზე გადის. მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა. ნამუშევრები, რომლებიც წარმოებაში ფართო მასშტაბის დანერგვისა და მაღალი ეკონომიკური ეფექტის გარანტიას იძლევიან, განხორციელდა ქიმიური პროფილის, მეტალურგიის, სამთო მექანიკის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის, მართვის სისტემების ინსტიტუტებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად, მნიშვნელოვნად გარდაიქმნა ჰუმანიტარული პროფილის ინსტიტუტების საქმიანობა.

მაგრამ აკადემიის მთელი მეცნიერული პოტენციალი ჯერ კიდევ არ ჩამდგარა რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების, სოციალურ-სულიერი ცხოვრების პროგრესის სამსახურში. ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულება, ბევრი მეცნიერი არ მუშაობს ძალ-ღონის მთელი დაძაბვით, სათანადო უკუგებით, ითქვა კრებაზე. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა გაამკაცრონ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობის თემატიკისა და ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმი. დროა დავამთავროთ წარმოებისაკენ შესაბამისი აკადემიური ინსტიტუტების შემობრუნება, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ტექნიკური მიმართულების სამუშაოები. სწორედ აკადემიურ დაწესებულებებში უნდა შეიქმნას პრინციპულად ახალ სახეობათა ტექნიკისა და ტექნოლოგიის თეორიული საფუძვლები.

მეცნიერთა მოვალეობაა უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ კონკრეტული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში. ეს შეეხება, მაგალითად, მანქანების მექანიკის ინსტიტუტის წვლილს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ახალი პროდუქციის გამოშვებაში. კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია მეტალურგიის ინსტიტუტსაც ჩამოსხმის ტექნოლოგიური პროცესების, თერმული დამუშავებისა და სამჭედლო-საშტამპავი წარმოების მოგვარებაში.

ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის მნიშვნელოვანი ნამუშევრების შესრულება ფერხდება ობიექტური მიზეზებითაც. საქართველოში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებში, დანახარჯები ერთ მეცნიერ თანამშრომელზე, მისი ფონდაღჭურვილობა და კვლევითი ტექნიკით უზრუნველყოფა. ამიტომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა განიხილოს სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტისა და აკადემიის მიერ მომზადებული წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მეთორმეტე და მეცამეტე ხუთწლედებში აკადემიის დაწესებულებათა მატერიალური, განსაკუთრებით საცდელ-საკონსტრუქტორო ბაზის მნიშვნელოვან განმტკიცებას.

უფრო ფართო მასშტაბით უნდა ხორციელდებოდეს აკადემიური, უმაღლესი სასწავლებლებისა და დარგობრივი მეცნიერების ინტეგრაციის ღონისძიებანი დიდი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრისას. საჭიროა განვავითაროთ ურთიერთობა ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, გამოვიყენოთ ორმაგი დაქვემდებარების ორგანიზაციების — მეცნიერებათა აკადემიას და სამინისტროს თუ უწყებას დაქვემდებარებული ორგანიზაციების შექმნის გამოცდილება. აკადემიის პრეზიდიუმმა, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გულდასმით უნდა შეისწავლონ კომპლექსური დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრების შექმნის შესაძლებლობანი, განეწყონ მათი ორგანიზაციისათვის.

როგორც სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე აღინიშნა, 2-2,5-ჯერ შეიძლება გაზარდონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მოცულობა უმაღლესმა სასწავლებლებმა. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი შესაძლებლობას იძლევა, რომ ეს ამოცანა უახლოეს წლებში გადაწყდეს. საჭიროა მხოლოდ, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამონახონ დაგეგმვის წესის შეცვლის სამეურნეო-სახელშეკრულებო სამუშაოების გაფართოების, ახალი კრიტერიუმების, სტიმულებისა და ბერკეტების შემოღების უფრო მიზანშეწონილი, ეფექტიანი გზები. დასაწყისისათვის, ექსპერიმენტის წესით, შეიძლება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გადაეცეს საწარმო საცდელ-საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიურ ბაზად, თქვეს ორატორებმა.

რესპუბლიკაში მოქმედებს საკავშირო დაქვემდებარების 74 ინსტიტუტი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიურო და ლაბორატორია, მაგრამ ზოგიერთის მუშაობა არსებითად თვითდინებაზეა მიშვებული.

მაგალითად, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ სსრ კავშირის კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს მადოზირებელ-შესაფუთი აპარატების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს შემოწმებით დადგინდა, რომ თემატურ გეგმებს აქ დიდი დაგვიანებით, მოუფიქრებლად ქმნიდნენ, ისე, რომ გათვალისწინებული არ იყო საბოლოო შედეგი. ხშირად სამუშაოთა გეგმაში შეჰქონდათ შემთხვევითი ხასიათის თემები, რომლებიც არ შეესაბამებოდა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს სპეციალიზაციას. ბიუროში შემოწმების შემდეგ შეწყვეტილ მარტო ოთხ ნამუშევარზე 530 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა.

კრებაზე, როგორც დადებითი, მოიყვანეს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და თბილისის ტრიკოტაჟის საცვლების გაერთიანების მაგალითი, რომლებმაც წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის ეფექტიანი ფორმა გამონახეს და შემოქმედებითი კომპლექსური სამეცნიერო-საწარმოო ბრიგადები შექმნეს.

კრებამ მოითხოვა წესრიგი დამყარდეს დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციების მუშაობაში. ზოგიერთი მათგანი შეიძლება შეიყვანონ საწარმოო გაერთიანებების შემადგენლობაში, რომელთა ბაზაზეც შეიქმნება დიდი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, დანარჩენი კი გადაეცეს რესპუბლიკურ ორგანოებს ან საერთოდ გაუქმდეს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე დაისახა ისეთი სერიოზული ამოცანები, როგორიც არის სოციალისტური მეურნეობრიობის უპირატესობათა საფუძველზე, დემოკრატიული ცენტრალიზმის შემდგომ განმტკიცება-განვითარებაზე დაფუძნებული სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებული პრობლემები მოითხოვენ სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, ყველა საკავშირო სამინისტროსა და უწყების მუშაობის შემდგომ სრულყოფას.

ანალოგიური მოთხოვნები წაუყენეს კრების მონაწილეებმა მართვის რესპუბლიკურ რგოლებს, რომლებმაც რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა შეიმუშაონ და წამოაყენონ შესაბამისი წინადადებანი. ამასთან მათში უნდა აისახოს ძირითადი საწარმოო რგოლის — გაერთიანებებისა და საწარმოების როლის ამაღლების ღონისძიებანიც მთელი ოპერატიულ-სამეურნეო მუშაობის სიმძიმის ცენტრის ადგილებზე გადატანის გათვალისწინებით.

ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა, მართვის სრულყოფა ორგანულად უნდა უკავშირდებოდეს სამეურნეო ანგარიშის, ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების გაძლიერებას. რეალურად უნდა უზრუნველვყოთ იმ შრომითი კოლექტივების უპირატესობა, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმატებებს აღწევენ, ნამდვილად არახელსაყრელი უნდა გავხადოთ მოძველებული და არაეფექტიანი პროდუქციის გამოშვება.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა მატერიალური სტიმულირება უშუალოდ უნდა დავუკავშიროთ მათი საქმიანობის საბოლოო შედეგებს. და აქ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ შესაბამის ორგანოებს ფინანსთა სამინისტროს მეთაურობით, რომლებმაც უნდა შემოიტანონ რესპუბლიკაში აპრობირებული ექსპერიმენტების, მათ შორის პარტნიორობის გავრცელების კონკრეტული წინადადებანი.

ყველას და თითოეულის ინტერესებისათვის

ხაზი გაუსვეს რა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთელ მიმდინარეობაზე პარტიული ზეგავლენის გაძლიერების დიდ მნიშვნელობას, კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში შესამჩნევად გაიზარდა პარტიული კომიტეტების მაკოორდინირებელი და ორგანიზატორული როლი მეცნიერების, წარმოებაში მისი მიღწევების დანერგვის დაჩქარების საკითხთა გადაწყვეტაში. მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბევრი რეგიონალური საბჭო — ქალაქ თბილისის ლენინის, კიროვის, საქარხნო, გლდანის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, გორის, ზესტაფონის, მახარაძის, გარდაბნის, ხობისა და სხვა საბჭოები — მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან, რათა კოორდინაცია გაუწიონ ყველა დაინტერესებული ორგანოსა და ორგანიზაციის მეცადინეობას სახალხო მეურნეობაში მეცნიერული ნამუშევრების, ტექნიკის სიახლეების, მოწინავე გამოცდილების მიღწევების დაჩქარებული გამოყენებისათვის, რესპუბლიკის სამეცნიერო და საწარმოო კოლექტივების, რეგიონებისა და სამინისტროების, უწყებების პარტნიორობის გაფართოებისათვის. მაგალითად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული საბჭოს ინიციატივით შემუშავებულია მეცნიერებისადმი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ორგანიზაციის სქემა. საბოლოო ანგარიშით იგი მიზნად ისახავს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის დონის ამაღლების გზით გააძლიეროს საქალაქო და რაიონული საკოორდინაციო საბჭოების როლი საქართველოს დედაქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რეგიონალური მართვის გააქტიურებამ ბევრად შეუწყო ხელი მთლიანად რესპუბლიკაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებათა შესრულებაში მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პრობლემებს სულ უფრო ხშირად განიხილავენ პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროებზე, აქტივის კრებებზე, სემინარებზე, პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა სკოლების მეცადინეობაზე, პარტიული კომიტეტების, ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოებისა და საწარმოების ტექნიკური საბჭოების გაერთიანებულ სხდომებზე, წამყვან მეცნიერებთან და წარმოების მუშაკებთან, სახალხო მეურნეობის სპეციალისტებთან პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივანთა შეხვედრებზე.

ამავე დროს, აღინიშნა გამოსვლებში, ზოგიერთ პარტიულ კომიტეტს ჯერ არ გაუწევია სათანადო მუშაობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მწყობრი სისტემის შექმნისათვის, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საკოორდინაციო საბჭოების საქმიანობას, რომელშიც ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მაგალითად, მარნეულისა და ცხინვალის საქალაქო კომიტეტებთან, ცხაკაიას, ყვარლის, ლაგოდეხის, ჯავის, ზნაურის, გუდაუთის, წალკის, ხელვაჩაურის, შუახევის, ახალქალაქის რაიონულ კომიტეტებთან, მთელ რიგ სხვა პარტიულ კომიტეტებთან არსებული საბჭოები მეტად დიდხანს დაყოვნდნენ ჩამოყალიბების სტადიაზე, ამოცანათა განხილვიდან და დაყენებიდან ვერა და ვერ გადასულან კონკრეტულ, პრაქტიკულ საქმეებზე.

ბევრი საბჭოსათვის დამახასიათებელია ის, რომ საკითხებს, ძირითადად, განიხილავენ პრობლემების ტექნიკური გადაწყვეტის გზების ძიების ასპექტით პარტიული ხელმძღვანელობისათვის ჩვეული ორგანიზაციული და პოლიტიკური უზრუნველყოფის ფორმების განუსაზღვრელად.

პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა ახლანდელ პირობებში უნდა გაითვალისწინონ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის კარგად გამართული მექანიზმის პირობებშიც კი მისი მიღწევების წარმატებით რეალიზაცია დამოკიდებულია კადრებზე, ადამიანის ფაქტორზე, ადამიანებზე, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესში, ხაზი გაუსვა კრებამ.

მომთხოვნელობა და კიდევ ერთხელ მომთხოვნელობა — აი მთავარი, რასაც გვკარნახობს შექმნილი სიტუაცია. უნდა ავამაღლოთ მომთხოვნელობა კადრებისადმი მეცნიერული ნამუშევრების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დროული დანერგვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, გადაჭრით აღვკვეთოთ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში ფორმალიზმის, ინერტულობის, უპასუხისმგებლობის გამოვლინებანი.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის ხანგრძლივი პოლიტიკური გეზი დღის წესრიგში აყენებს ახალი ტიპის კადრების ჩამოყალიბებისა და აღზრდის საკითხს. განხორციელდება უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნის ღონისძიებანი. ამავე დროს, საფუძვლიანად უნდა გააქტიურონ, გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა სამინისტროებისა და უწყებების პარტიულმა კომიტეტებმა, რომლებიც საგრძნობ პარტიულ ზეგავლენას არ ახდენენ დარგებში საქმის ვითარებაზე, და, კერძოდ, კადრების მომზადებასა და გადამზადებაზე, შერჩევასა და განაწილებაზე, მათი ქმედითი რეზერვების ჩამოყალიბებასა და აღზრდაზე.

მეურნეობრიობისადმი ახალი მიდგომა საჭიროა ყველგან, მართვის ყველა დონეზე. და უნდა გარდაიქმნას ყველა — მუშით დაწყებული და მინისტრით დამთავრებული. პარტიული ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი უნდა დაეხმარონ ადამიანებს დარწმუნდნენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომელიც შეესაბამება ყველას ინტერესებს, საშუალებას აძლევს თითოეულს ფართოდ გამოავლინოს თავისი უნარი.

იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ დასახული ამოცანა — რესპუბლიკა, მთელი მისი სახალხო მეურნეობა, ყველა მისი რეგიონი გადავაქციოთ მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის პოლიგონად, საჭიროა ასეთი პოლიგონი გახდეს ყოველი საწარმო, ყოველი ქარხანა, ყოველი ფაბრიკა, ყოველი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, ყოველი ბრიგადა, და ბოლოს, ყოველი სამუშაო ადგილი.

(დასასრული მე-4 გვ.)

ეკონომიკის ინტენსიფიკაციის კურსით

(დასასრული)

ამ საერთო-პარტიულ, საერთო-სახალხო მუშაობაში თავიანთი კონკრეტული ფუნქციები უნდა განსაზღვრონ ყველა საფეხურის საბჭოებმა, პროფკავშირებმა, კომკავშირმა, სახალხო კონტროლმა, ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ. დიდია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლიც.

კრების მონაწილეთა გამოსვლებიდან

ძიება და პრაქტიკა

საქართველოს დედაქალაქში სულ უფრო ფართოდ იყენებენ სამეცნიერო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელშეკრულებებს ადგილობრივი საბჭოების დარგთაშორისი ტერიტორიული გაერთიანებების შუამავლობით. ასეთ საფუძველზე, პარტნიორობის სამეურნეოანგარიშიანი, კომერციული მექანიზმის გამოყენებით წარმატებით წყდება საინტერესო სამეცნიერო-ტექნიკური საკითხები საქარხნო, ლენინის, სხვა რაიონებში. მთელი რიგი ინიციატივები იშვა, მაგალითად, გლდანის რაიონში. № 10 ტრესტის მსხვილპანელიანი სახლთმშენებლობის ქარხანაში სამშენებლო მექანიკისა და საშენ მასალათა ინსტიტუტისა და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური ინსტიტუტის სპეციალისტების წინაშე დასახეს კონკრეტული ამოცანა და მისცეს მათ მუშაობის ფრონტი, საექსპერიმენტო ბაზა უშუალოდ საწარმოში. ამან შესაძლებელი გახადა შეეთავსებინათ შემუშავებისა და დანერგვის ეტაპები, უზრუნველეყოთ სასურველი შედეგი: 16-სართულიანი სახლის დამონტაჟების ვადა ორი თვით მცირდება, იზოგება ლითონი, ცემენტი, სხვა მასალები, თითქმის 20 პროცენტით მატულობს შრომის ნაყოფიერება. პარტიის რაიკომმა მეცნიერებათა აკადემიისა და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის აქტიური მხარდაჭერით ფართოდ გაავრცელა თანამშრომლობის ეს მეთოდი რაიონის მასშტაბით.

• • •

ეგრეთ წოდებული „წმინდა" მეცნიერების გაზრდილი როლის მიუხედავად, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში მთავარ ფიგურად რჩება ინჟინერი. სწორედ იგი გარდაქმნის მეცნიერების უახლეს მიღწევებს ზოგადი იდეებიდან ცოცხალ ტექნიკად. მაგრამ არა გვაქვს იმის საფუძველი, რომ მთლიანად დაკმაყოფილებული ვიყოთ საინჟინრო კადრების გამოყენებითა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნის წარმატებებით. ინჟინერთა ცუდი გამოყენების სერიოზული მიზეზია საინჟინრო შრომის ანაზღაურების მოძველებული სისტემა, რომელიც დღის მოთხოვნებს არ შეესაბამება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა მეცნიერ მუშაკთა, კონსტრუქტორთა და ტექნოლოგთა შრომის ანაზღაურების სრულყოფაში ლენინგრადის საწარმოო გაერთიანებების გამოცდილება. ბევრ საკავშირო, მათ შორის რესპუბლიკის საწარმოებშიც, ხორციელდება დიდი მასშტაბის ეკონომიკური ექსპერიმენტი. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ფარგლებში ექსპერიმენტების სიმბიოზი შეიძლება გახდეს უკვე მთელი შრომითი კოლექტივის ფარგლებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის მონაწილეთა პასუხისმგებლობისა და დაინტერესების ამაღლების ახალი ასპექტი. არსებითი როლი უნდა შეასრულონ საქალაქო და რაიონულმა დარგთაშორისმა ტერიტორიულმა გაერთიანებებმა.

• • •

წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის საინტერესო მუშაობა გაიშალა აჭარის გადამამუშავებელ მრეწველობაში. კონცენტრირებული ციტრუსის წვენის დამზადებაზე გადასვლა საშუალებას აძლევს მათ აწარმოონ სხვადასხვაგვარი სასმელი მისი რეალიზაციის ადგილის მიხედვით. კონცენტრატების საფუძველზე დამზადებულ სიროფებს წარმატებით იყენებენ საკონდიტრო და რძის მრეწველობაში. შემუშავებულია ციტრუსების ნარჩენებისაგან „პ" ვიტამინის მიღების ტექნოლოგია, რომელიც საფუძვლად დაედო სპეციალიზებული საამქროს მშენებლობას ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში. პერსპექტივაში იგი მთლიანად დააკმაყოფილებს ამ პრეპარატზე ქვეყნის საჭიროებებს. პირველად შეიქმნა და გამოცდას გადის აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატში მანდარინის ქერქის საწმენდი ხაზი. ხელვაჩაურის რაიონში მშენებარე „ნარინჯის" ქარხანაში მწყობრში ჩადგა ციტრუსის ნაყოფისაგან სხვადასხვა ჯემისა და მურაბის საწარმოო ავტომატური ხაზი, რომელიც თანამედროვე მოწყობილობითაა აღჭურვილი. მიმდინარე წლის დამლევისათვის ციტრუსის სამრეწველო გადამუშავება ამ საწარმოში მიაღწევს 13 ათას ტონას. გადამამუშავებელ სიმძლავრეთა გადიდების ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემს ნაყოფის სამრეწველო გადამუშავების დონე ახლანდელი 22 ათასი ტონის ნაცვლად 1990 წლისათვის 100 ათას ტონამდე გავზარდოთ.

• • •

ბოლო ორი ხუთწლედის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა მახარაძის რაიონის ნარუჯის საბჭოთა მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის გადიდების გზაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად. ჩაის პლანტაციები მთლიანად ელექტრიფიცირებულია, დანერგილია ჩაის ფოთლის კრეფის სრული მექანიზაცია, მათ შორის კომპლექსური მექანიზაცია 74 ჰექტარ ფართობზე და მცირე მექანიზაცია — 480 ჰექტარზე. ამის შედეგად გამოთავისუფლდა 600 კაცი. მექანიზაციის დანერგვის წყალობით ცენტნერი ჩაის ფოთლის თვითღირებულება 68 მანეთიდან შემცირებულია 42 მანეთამდე. ჩაის ფოთლის უტარო გადაზიდვის დანერგვამ კი დაზოგა 15 ათასი მანეთი. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მეურნეობა გახდა მეცნიერების მიღწევათა დანერგვის პოლიგონი. ჩაის ჯიში „კოლხეთი" გაშენებულია 10 ჰექტარ ფართობზე, გარდა ამისა, მეურნეობაში 45 ჰექტარზე მეტი სხვა სელექციურ ჯიშებს უკავია. ამ ფართობზე მიღებული მაღალხარისხოვანი ნედლეულის გადამუშავება პარტნიორობის წესით ხორციელდება ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ექსპერიმენტულ ჩაის ფაბრიკაში. 1983 წლიდან მიმდინარეობს ექსპერიმენტი, რომლის მიზანია ნედლეულში გაადიდოს ნაზი ფრაქციის წილი და შესაბამისად — აამაღლოს ანაზღაურება. ექსპერიმენტმა პრაქტიკულად გაამართლა დანიშნულება და ამ წლიდან დაინერგა მთელი რაიონის მასშტაბით. ფართოდაა დანერგილი კოლექტიური იჯარის მეთოდი საბჭოთა მეურნეობის რვა მეჩაიეობის საწარმოო ბრიგადაში, მეცხოველეობის ფერმაში, მეციტრუსეობისა და მებოსტნეობის ბრიგადებში. განხორციელდა შრომის დისციპლინის განმტკიცების მორალური და მატერიალური სტიმულირების სისტემის სრულყოფის ღონისძიებათა კომპლექსი. ამ და სხვა ღონისძიებებმა შესაძლებელი გახადა ბოლო ორი ხუთწლედის მანძილზე ჩაის ფოთლის წარმოება გადიდებულიყო ერთისამად და მეტად, ციტრუსებისა — 232 პროცენტით, ხორცისა — ერთიორად და მეტად, რძისა — ერთისამად, ბოსტნეულისა — ერთიორად და ა. შ. შესაბამისად გაიზარდა შემოსავლიც.

• • •

გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში ხორციელდება ექსპერიმენტი, რომლის მიზანია სოფლის ერთიანი დაგეგმვა. განგარიშებულია მისთვის ერთიანი ტექნიკურ-ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები. კოლმეურნეობაში შექმნილია მექანიზებული რგოლი, რომელიც ხელშეკრულებისა და შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე ამუშავებს კოლმეურნეთა პირად მეურნეობებს. მოსახლეობა კი ვალდებულებას კისრულობს სახელმწიფოს მიჰყიდოს მიღებული პროდუქციის ნაწილი. შექმნილია საინტერესო წანამძღვარი სოფლის მშრომელთა პირადი დამხმარე მეურნეობების გონივრული დაგეგმვისა და მართვისათვის.

• • •

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების ლოგიკამ გვიკარნახა ვეძიოთ წარმოებასთან მეცნიერების თანამშრომლობის ახალი, პროგრესული ფორმები, რომლებიც ყველაზე მეტად შეუწყობენ ხელს ნამუშევრების მაღალი დონის უზრუნველყოფას, „დამუშავება-დანერგვის" ციკლის შემცირებას. საქართველოს საფეიქრო მრეწველობის თერთმეტ საწარმოში შექმნილია 13 შემოქმედებითი კომპლექსური სამეცნიერო-საწარმოო ბრიგადა. მათი სტატუსი ითვალისწინებს მეცნიერების მიღწევათა შემუშავებასა და დანერგვაში მეცნიერ თანამშრომლებთან ერთად საწარმოთა მუშაკების სრულუფლებიან და პასუხსაგებ მონაწილეობას. ამის შედეგად საწარმოთა წარმომადგენლები ხდებიან შემოქმედებითი ძიების თანაავტორები, რომლებიც ხელს უწყობენ მეცნიერულ გამოკვლევებს და აფასებენ მეცნიერული ნამუშევრების შედეგებს წარმოების შესაძლებლობათა თვალსაზრისით, რაც, საბოლოო ანგარიშით, დადებით გავლენას ახდენს დამუშავებისა და დანერგვის ვადებსა და პროცესების დონეზე. გარდა ამისა, ასეთი ბრიგადები ავლენენ და აფართოებენ შემოქმედებითს პოტენციალს, ამაღლებენ მეცნიერ თანამშრომელთა პასუხისმგებლობას და საშუალებას აძლევენ მათ უფრო ღრმად შეისწავლონ წარმოების საჭიროებანი და შესაძლებლობანი.

• • •

გაფართოვდა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კავშირი რესპუბლიკურ სამეცნიერო ორგანიზაციებთან, უფრო ფართოდ გამოიყენება უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული პოტენციალი. მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტთან ერთობლივი ნამუშევრების ბაზაზე მიღებულია ახალი სახეობის ამინოპლასტი დიატომიტის ფხვნილის წარმოების ნარჩენების გამოყენებით. გამოცდამ ცხადყო, მისი მაღალი ფიზიკურ-მექანიკური და დიელექტრული თვისებები. ამჟამად „სოლანთან" მთავრდება საცდელი წარმოების მშენებლობა და პროექტდება ახალი ქარხანა, რომლის მშენებლობა გათვალისწინებულია მეთორმეტე ხუთწლედში. ეს შესაძლებელს გახდის მთლიანად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება პლასტმასის პრესფხვნილებზე და სამინისტროს საშუალებას მისცემს შექმნას მძლავრი ბაზა სხვადასხვა კლასისა და დანიშნულების სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოებისათვის. უკვე დღეს იკვეთება ამ პლასტმასების შემდგომი მოდიფიკაციის პერსპექტივა და გათვალისწინებული თვისებების სხვადასხვა მასალის მიღება. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნამუშევრები, რომლებიც ეხება მანგანუმის მადნისა და მინის ნალეწის გამდიდრების ნარჩენების გამოყენებას ტექნიკური და მხატვრული მინანქრის წარმოებისათვის, საფუძვლად დაედო მომავალ ხუთწლედში საჩხერის რაიონში ფრიტის საწარმოს მშენებლობას. დარგში ასეთი საწარმოს არსებობა განსაზღვრავს გადიდებული საექსპლოატაციო თვისებებისა და გაუმჯობესებული ესთეტიკის მასობრივი მოთხოვნის საქონლის ახალი ასორტიმენტის ათვისებას.

პრობლემები და ნინადადებანი

ჩვენს ქვეყანაში, სადაც მეცნიერება საზოგადოებას ემსახურება როგორც ერთიანი მთლიანი, ცხადია, მას უნდა ვმართავდეთ როგორც ერთიან მთლიანს. მეცნიერების დაყოფა აკადემიურად და დარგობრივად არ შეესაბამება ახლანდელ ამოცანებს. რესპუბლიკებში მეცნიერების ინტელექტუალური პოტენციალი თავმოყრილია მეცნიერებათა აკადემიებში, ხოლო ფინანსურ-სარესურსო პოტენციალი, მატერიალურ-კვლევითი ბაზა დარგობრივ დაწესებულებებში. განა უფრო მიზანშეწონილი არ არის მეცნიერული პოტენციალის ეს ორი შემადგენელი ნაწილი გავაერთიანოთ და დავუქვემდებაროთ ერთ ორგანიზაციას, ესე იგი მოვაქციოთ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, გადავცეთ მას საცდელ-საწარმოო ბაზები, დაფინანსების მოცულობანი და ყოველივე ის, რაც საჭიროა, როგორც ფუნდამენტური და სამიებო, ისე გამოყენებითი და საცდელ-საკონსტრუქტორო მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის. ეს, უნდა ვივარაუდოთ, გამოიწვევს როგორც დარგობრივი მეცნიერების ფუნდამენტურობის დონის, ისე თვით აკადემიური მეცნიერების ინდუსტრიალიზაციისა და მანქანიზაციის დონის ამაღლებას.

• • •

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში უკლებლივ ყველა სამინისტროსა და უწყების მუშაობაში ბევრი სიძნელე და ნაკლია, რომელთა ერთბაშად აღმოფხვრა შეუძლებელია. ისინი უნდა დავძლიოთ თანდათან. სიძნელეები აქვთ რესპუბლიკის მეცნიერების და ტექნიკის განვითარების მთავარ მეგზურ ორგანოებს — მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს. უწინარეს ყოვლისა, უნდა მივაღწიოთ, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სახელმწიფო გეგმა მომავალ ხუთწლედში უფრო დამრაზმველი და მოქნილი გახდეს. ამისათვის უნდა გავააქტიუროთ მუშაობა რესპუბლიკის რაიონებში, ქალაქებში, ავტონომიურ ფორმირებებში, სადაც თავმოყრილია მნიშვნელოვანი სამრეწველო პოტენციალი და, შესაბამისად, წარმოიშობა მეცნიერების „ჩარევის" აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს თავისი შტატიანი თანამშრომლები ჰყავდეს ისეთ ქალაქებში, როგორიც არის ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, ცხინვალი.

• • •

ახალი მეცხოველეობის სადგომების დაპროექტებისას როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიწათმოწყობის განყოფილებას, ისე საპროექტო ინსტიტუტებს უხეში დარღვევები აქვთ. მთელ რიგ მეურნეობებში არ არის გათვალისწინებული მთიანი რელიეფის თავისებურებანი, უადგილოდ ცუდად ხორციელდება ნაგებობათა მისადაგება ადგილმდებარეობასთან. მაგალითად, არცევის საბჭოთა მეურნეობაში სარძევე-სასაქონლო ფერმის მშენებლობის საპროექტო ღირებულება შეადგენს 580 ათას მანეთს, მარტო მიწის სამუშაოები კი 180 ათასი მანეთისაა შესრულებული. სამხრეთ ოსეთის მთის ზონას ჯერ კიდევ არა აქვს მეურნეობის გაძღოლის მტკიცე მეცნიერულ-მატერიალური საფუძველი. მიწების წვრილკონტურიანობა, ფერდობების დაქანება უაღრესად აძნელებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციას, ხოლო შესაბამისი სამთო ტექნიკა, მცირე მექანიზაციის საშუალებანი ფართო ასორტიმენტით მეურნეობებს ჯერ კიდევ არა აქვთ. ბევრი პრობლემა სამთო რწყვამიც. რესპუბლიკის მრეწველობა ჯერჯერობით არ უშვებს მცირეგაბარიტიან საწვიმებელ დანადგარებსა და რწყვის ავტომატიზებულ სისტემებს, რომლებიც ესოდენ საჭიროა მთებში სამელიორაციო სამუშაოებისათვის. სირთულეებია ბარისა და მთის პირობებში შრომის ანაზღაურებისადმი გეგმაზომიერ, დიფერენცირებულ მიდგომაში.

მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები მეცნიერული კვლევის სიღრმით და მნიშვნელობით ჩამორჩნენ თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა დონეს და დათმეს მოწინავე პოზიციები. ინსტიტუტებში შესამჩნევია მაღალკვალიფიციური მეცნიერთა მწვავე ნაკლებობა. განსაკუთრებით იგრძნობა ჩამორჩენა ისეთ პროგრესულ დარგებში, როგორიცაა მოლეკულური ბიოლოგია, ბიოტექნოლოგია, სელექცია, გენეტიკა და სხვ. ამის მიზეზია ინსტიტუტების ფონდაღჭურვილობის დაბალი დონეც. ნიჭიერი და პერსპექტიული კადრების მოზიდვას აბრკოლებს ის გარემოებაც, რომ მეცნიერთა შრომის ანაზღაურების დონე ჩამორჩა წარმოებაში მომუშავე სპეციალისტების ანაზღაურების დონეს. ამავე დროს პრაქტიკამ ცხადყო, რომ პარტნიორობის პრინციპებზე მეცნიერ-თანამშრომელთა და წარმოების მუშაკთა მჭიდრო კავშირი ხელს უწყობს მათ მატერიალურ სტიმულირებას. ამ მიზნით შემუშავდა შესაბამისი დებულება, რომელიც პრაქტიკულად შემოწმდა და დადებითი შედეგი მოგვცა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი დღემდე არ დაკანონებულა. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ექსპერიმენტული ბაზა გადაუდებელ განახლებას მოითხოვს ისეთი მასშტაბით, რომ ისინი გარდაიქმნან მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის მოწინავე სკოლებად.

• • •

წარმოების ვეტერანებს აღელვებს, რომ, სამწუხაროდ, ბოლო წლებში ქარხანაში მკვეთრად იკლო ახალგაზრდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა აქტიურობამ. ალბათ, მიზანშეწონილი იქნებოდა ახალი შინაარსით გაგვემდიდრებინა რაციონალიზატორთა კომპლექსური ბრიგადების მუშაობა, უზრუნველგვეყო მათი უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მეცნიერ მუშაკებთან. ეს შესაძლებლობას მოგვცემს არა მარტო მივიღოთ ხოლმე ესა თუ ის ტექნიკური გადაწყვეტა, არამედ დავნერგოთ კიდეც იგი წარმოებაში. კვალიფიკაციისადმი მოთხოვნათა გადიდება და რაციონალიზატორული საქმიანობის გაძლიერების საჭიროება, უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, გამოწვეულია ტექნოლოგიური მოწყობილობის გართულებით. მაგალითად, ქუთაისის ავტოქარხანაში ბოლო ხანს მიღებულ ჩარხებს შორის არის რამდენიმე განსაკუთრებით ზუსტი და რთული ჩარხი. ამ ჩარხებზე მუშაობისას საჭიროა ბევრი პირობის, და კერძოდ, ტემპერატურის რეჟიმის დაცვა.

• • •

სწორი არ არის, როცა მეცნიერებათა აკადემიისა და მისი განყოფილებების კრებები, მეცნიერების საკავშირო დღის ღონისძიებები, სხვა ღონისძიებები ჯერ კიდევ ძირითადად მხოლოდ თბილისის დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით ეწყობა. უფრო მიზანშეწონილია, რომ ამ ღონისძიებებზე ვიწვევდეთ პერიფერიული, მათ შორის დარგობრივი ორგანიზაციების წამყვან მეცნიერებსა და წარმოების მუშაკებსაც. ეს შესაძლებელს გახდის აზრთა გაზიარებას, მოლაპარაკებას ისეთი დიდი მიზნობრივი პრობლემების გადასაჭრელად, სამუშაოთა ერთობლივი შესრულების თაობაზე, რომელთა მიზანია ღირსეული წვლილის შეტანა რესპუბლიკის ეკონომიკის ინტენსიფიკაციის დაჩქარებისა და რენტაბელობის გადიდების საქმეში.

• • •

სწორ გადაწყვეტილებათა შესამუშავებლად და მისაღებად უნდა გაფართოვდეს საცდელ-საკვლევი ბაზების ქსელი უშუალოდ საწარმოებში. საჭიროა უზრუნველვყოთ, რომ მეცნიერებას უფრო ადვილად მიუწვდებოდეს ხელი წარმოებაზე, მის საჭიროებებსა და ინტერესებზე, რათა გაუწიოს მას ქმედითი დახმარება ვიწრო ადგილების ლიკვიდაციაში. ექსპერიმენტულ წარმოებათა გაფართოებაში უფრო აქტიურად უნდა ვამბადოთ შესაბამის საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს. წარმოებასთან მეცნიერების შეერთების პროგრესული ფორმაა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ექსპერიმენტულ წარმოებათა შექმნაც. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომ ინტენსიფიკაციას, დაჩქარებას ვერ უზრუნველვყოფთ წარმოების ტექნიკური დონის არსებითი ამაღლების, საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გარეშე.

• • •

ტექნიკურმა უმაღლესმა სასწავლებლებმა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ იმ მხრივ, რომ დახმარება გაუწიონ მანქანათსაშენებელ საწარმოებს პროდუქციის მოდერნიზაციისა და მისი ახალი კონკურენტუნარიანი სახეობების ათვისებაში. ეს რესპუბლიკის ღირსებისა და პრესტიჟის საკითხია. დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები საკმარის დახმარებას არ უწევენ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს. ამის შედეგად საწარმოები დახმარებას ხშირად ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებში ეძებენ.

• • •

უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა მოცულობის გადიდების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს ლაბორატორიული ბაზისა და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა დონეს. ინსტიტუტს, რომელსაც ყველაზე მოწინავე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს, შეუძლია კვლევა-ძიებაში ჩააბას დიდი კოლექტივები, საკუთარი ძალებით აწარმოოს კომპლექსური კვლევა მეცნიერებათა მესაყარზე, ფართოდ ჩააბას საქმეში ასპირანტები და სტუდენტები. დიდ იმედებს ვამყარებთ მიკროელექტრონიკისა და მიკროელექტრონული ტექნოლოგიის სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრზე. ამჟამად ტექნიკის ყველა დარგში მანქანები და ხელსაწყოები ემყარება მართვის მიკროელექტრონულ სისტემებს, რომლებიც კომპიუტერებისა და მიკროპროცესორების მეშვეობით მუშაობენ. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ სისტემათა მუშაობის საიმედოობას, ხოლო მართვის სისტემების, მთლიანად მანქანებისა და ხელსაწყოების დიდი საიმედოობისათვის საჭიროა წარმოების ტექნოლოგიის მაღალი დონეც. მიკროელექტრონული ტექნოლოგიის საფუძვლები აუცილებელია სხვადასხვა ფუ[illegible]ბისათვის. [illegible]რდება რესპუბლიკის ყველა საწარმოს, განსაკუთრებით მშენებარე საწარმოებს, მაგრამ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჯერჯერობით შესაბამისი ბაზა არ არის. მრავალი წლის წინათ მზად იყო პროექტი და ნაკვეთიც კი გამოიყო მშენებლობისათვის, მაგრამ პრაქტიკულად საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

• • •

მშენებლობაში გვაქვს მთელი რიგი მოსაწესრიგებელი ხარვეზები. კერძოდ, ის, რომ არ არის ქვეგანაყოფი, რომელიც კაპიტალურ მშენებლობაში ეკონომიკის საკითხებზე იმუშავებდა; არ არის სპეციალიზებული ორგანიზაცია, რომელიც ნაგებობათა საფუძვლების საკითხებს განაგებდა; აუცილებელია ამაღლდეს საპროექტო გადაწყვეტათა დონე სამრეწველო და სასოფლო მშენებლობასა და ქალაქთმშენებლობაში. ყველა ამ პრობლემის გადასაჭრელად რესპუბლიკის ხმშენს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიქმნას ჩვენთან სსრ კავშირის სახმშენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შესაბამისი კომპლექსური განყოფილებანი, ხოლო რესპუბლიკის წამყვან საპროექტო ინსტიტუტებში — სამეცნიერო ქვეგანაყოფები, რომელთა ბაზაზე ჩამოყალიბდება მშენებლობისა და არქიტექტურის ინსტიტუტი. განსაკუთრებული ადგილი უკავია საკითხებს, რომლებიც უკავშირდება წყალდიდობის, მეწყერების, ღვარცოფებისა და თოვლის ზვავების წინააღმდეგ ბრძოლას, მათი შედეგების ლიკვიდაციას. მიზანშეწონილია სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანპირდაცვის" ანალოგიით შეიქმნას სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქეროზია", რომელიც კომპლექსურად იმუშავებდა ყველა ამ პრობლემაზე.

აშკარაა, რომ საჭიროა უფრო გულდასმით შემუშავდეს ტექნიკური განახლების კომპლექსური გეგმები ყოველი საწარმოს მიხედვით და უსათუოდ დაუკავშირდეს ისინი პროდუქციის განახლების, ახალი ტექნოლოგიური პროცესების ათვისების გეგმებს. ასეთი გეგმები უნდა შეიმუშაოს მეთორმეტე ხუთწლედისათვის ყველა საწარმომ უკვე უახლოეს დროში და საკავშირო სამინისტროებში მათი დამტკიცების შემდეგ ისინი მოქმედების საბრძოლო პროგრამად უნდა გადაიქცეს.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები, ყველა მშრომელი იხელმძღვანელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებებით და დასკვნებით, და კვლავაც ძალ-ღონეს, ენერგიას და ცოდნას არ დაიშურებენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად გამიზნული პარტიის პოლიტიკის უთუოდ განხორციელებისათვის, ღირსეულად შეხვდებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას.

(საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და საკავშირო პროფსაბჭოში

(დასასრული)

შეცვალონ (გაზარდონ ან შეამცირონ) აღნიშნულ მუშაკთა თანამდებობრივი სარგოები ატესტაციის შედეგებით მაქსიმალური და მინიმალური ოდენობის ფარგლებში შესაბამისი თანამდებობის მიხედვით ამ გაერთიანებებში საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოქმედი თანამდებობრივი სარგოების სქემების საშუალო სარგოების გაუთვალისწინებლად.

მუშაკის თანამდებობრივი სარგო შეიძლება გაიზარდოს, თუ მის მიერ შესრულებული სამუშაოები მაღალი ხარისხისა და დროულია მორიგი ატესტაციის მოწყობამდეც;

მეცნიერი მუშაკებისათვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შემთხვევაში გადაიყვანონ ისინი უფრო მაღალ თანამდებობაზე, ან გაუდიდონ მათ თანამდებობრივი სარგოები თვეში 50 მანეთამდე მაქსიმალური სარგოს ფარგლებში თანამდებობის მიხედვით, ხოლო კონსტრუქტორებს, ტექნოლოგებსა და სხვა სპეციალისტებს მათთვის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შემთხვევაში სარგოები გაუდიდონ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით.

მეცნიერი მუშაკებისათვის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მათი სამუშაოზე მიღებისას შენარჩუნებულია კონკურსის მიხედვით ვაკანტური თანამდებობების დაკავების მოქმედი წესი.

გათვალისწინებულია ამაღლონ პრემიების როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებაში, პრემიებისა და მატერიალური წახალისების ფონდებში ანარიცხების ოდენობა კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ სახალხო მეურნეობაში მიღებული ეფექტის სიდიდეს, შესრულებული სამუშაოების მნიშვნელობას, ნამუშევრების შესრულებისა და წარმოებაში მათი შედეგების ათვისების ვადების შემცირებას.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ყოველწლიურად წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ სამინისტროებისა და უწყებების ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და დანერგვისათვის განკუთვნილი ცენტრალიზებული პრემიული ფონდების ხარჯზე ერთდროული სპეციალური პრემიები მისცენ კონსტრუქტორებს, ტექნოლოგებსა და მეცნიერ მუშაკებს პრინციპულად ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის შექმნისა და ათვისებისათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს უფლება მიენიჭათ ნება დართონ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებს შექმნან მატერიალური წახალისების ფონდი და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდი. განსაზღვრულია ამ მიზნებისათვის საჭირო სახსრების წყაროები.

მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებში, საწარმოებში, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებში მუდმივი მუშაობისათვის სამეცნიერო ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიზიდვის მიზნით ნებადართულია დაუდგინონ მათ თანამდებობრივი სარგოები სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ანალოგიურ მუშაკთა სარგოების დონეზე.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ გააძლიერონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სამეცნიერო და ინჟინერ-ტექნიკურ კადრებთან, აამაღლონ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემქმნელთა შრომის პრესტიჟი, ნიადაგ იზრუნონ მათი შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, მიაღწიონ, რომ შეიქმნას შემოქმედებითი ვითარება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და საწარმოების კოლექტივების საქმიანობაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს წინადადება მიეცათ გააუმჯობესონ სამეცნიერო და საინჟინრო შრომის, მისი მიღწევების პროპაგანდა, უფრო მკაფიოდ წარმოაჩინონ მეცნიერებისა და ტექნიკის როლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ მეცნიერები, კონსტრუქტორები და ტექნოლოგები აამაღლებენ მიმდინარე გამოკვლევებისა და ნამუშევრების დონესა და შედეგიანობას, მთელ მეცადინეობას მოახმარენ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში.

„მე ისევ ამქვეყნად დავრჩები"

(დასასრული)

გვერდით აღარ გყავს..." მართლაც ასეა: ფიზიკურად ჩვენთან აღარ არის ნიჭიერი მწერალი და მომხიბვლელი ადამიანი, რომელიც ადრე ჩამოშორდა საბრძოლო მწყობრს, მაგრამ ცოცხლობენ და მოქმედებენ მისი ბრწყინვალე რომანები, მოთხრობები, მის მიერ შექმნილი ადამიანთა სახეები, კვლავ ღირსეულ სამსახურს უწევს სოციალისტურ სამშობლოს ნოდარ დუმბაძის, როგორც მწერლის, მართალი, კეთილმობილური, ქვეიანი სიტყვა.

ეს თქვეს მემორიალური დაფის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ შ. ნიშნიანიძემ, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარმა რედაქტორმა ვ. ჭელიძემ, ჟურნალ „მნათობის" მთავარმა რედაქტორმა ა. სულაკაურმა, გამომცემლობა „მერნის" დირექტორმა გ. გვერდწითელმა, ალმანახ „კრიტიკის" მთავარმა რედაქტორმა თ. დოიაშვილმა.

საქართველოს სახალხო მხატვრის ო. ლითანიშვილის მიერ შესრულებულ მემორიალურ დაფას საბურველს ხსნიან. დაფაზე წარწერილია: „ამ სახლში 1971-1984 წლებში ცხოვრობდა ნოდარ დუმბაძე — გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე".

შემდეგ მიტინგის მონაწილეები გაემართნენ პიონერულ ქალაქ „მზიურისაკენ", სადაც დაკრძალულია მწერალი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ამ ჯადოსნური ბავშვთა ქალაქის დაბადება.

გაისმის ნოდარ დუმბაძის ხმა — მისი აღელვებული წინასწარმეტყველება ამ მზიური ქალაქის მომავლის შესახებ. ექო გადაევლო გორაკებს, ფერდობებს.

მწერლის საფლავი ყვავილებით ივსება, ისინი აქ მოიტანეს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა, თბილისელებმა, მწერლის მშობლიური ჩოხატაურის რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

ამ დღემ ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რა ძვირფასია თითოეული მკითხველისათვის შესანიშნავი სიტყვის ოსტატის, კომუნისტი მწერლის ნოდარ დუმბაძის საამაყო სახელი, რომლის სიტყვები მართლაც წინასწარმეტყველებად იქცა: „მე ისევ ამქვეყნად დავრჩები", ეს ასეა, ასე იქნება ხვალაც, ყოველთვის, მარად. (საქინფორმი).

სურათზე: ცერემონია — მწერლის საფლავთან.
ხ. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ერთად ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის

— **საკუთარი** გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ადამიანები დაძაბულობის შენელების სულისკვეთების ერთგული არიან, გულწრფელად ესწრაფვიან მშვიდობას, — განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ალმასკომის წევრმა ანრი ტრონშონმა. იგი ხელმძღვანელობს ფრანგ მშრომელთა მშვიდობისა და მეგობრობის მატარებლის მონაწილეთა ჯგუფს, რომელიც რამდენიმე დღეს იმყოფებოდა თბილისში.

— აქ, სსრ კავშირში, — თქვა შემდეგ ა. ტრონშონმა, — დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ადამიანები მშვიდობიან, აღმშენებლობითს შრომას ეწევიან. თქვენი მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ეს ხომ მისი მშვიდობიანი მისწრაფებების საუკეთესო დადასტურებაა. ამას მოწმობს სსრ კავშირის ახალი მშვიდობიანი ინიციატივებიც, რომელთა მიზანია ბირთვული საფრთხის კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილება.

— არ შეიძლება დავუშვათ, — ჩაერია საუბარში საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე მაქსიმილიან ლიპშიცი, — რომ ჩვენ იმ ადამიანთა თაობა გავხდეთ, რომლებიც პლანეტაზე უკანასკნელი იქნებიან. ძალზე ძვირად დაუჯდა კაცობრიობას, და განსაკუთრებით საბჭოთა ხალხს, მშვიდობის მოპოვება, რომ კვლავ საფრთხის წინაშე დავაყენოთ იგი. ეს უნდა ახსოვდეს თითოეულ ჩვენგანს, უწინარესად იმათ, ვინც ხელს უწყობს ფაშიზმის აღორძინებას, ვისაც დავიწყებია ისტორიის გაკვეთილები.

— უბრალო საბჭოთა ადამიანების მშვიდობისმოყვარეობის, ჩვენთვის საქართველოში გაწეული სიკეთისა და სტუმართმოყვარეობის ამბავს აუცილებლად ვუამბობთ სამშობლოში დაბრუნებისთანავე, — თქვა ბოლოს სტუმარმა. — შთამბეჭდავია აგრეთვე საბჭოთა პროფკავშირების წარმატებული საქმიანობა ეკონომიკის, წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის დარგში, ისინი ხომ თავიანთი ბედის ჭეშმარიტი შემოქმედნი არიან.

ფრანგი სტუმრები მიიღეს საქართველოს პროფსაბჭოში. რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის პროფესიული კავშირების სტრუქტურა და საქმიანობა, ის, თუ როგორ მონაწილეობენ ისინი ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, უპასუხა მათ კითხვებს.

მატარებლის მონაწილეთა ჯგუფის სახელით ა. ტრონშონმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობის, სტუმრისათვის, გამოთქვა რწმენა, რომ ახლანდელი ვიზიტი ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და საფრანგეთის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

სტუმრები იყვნენ გორში, ბორჯომში, ეწვივნენ რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებს. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. თამაზ შალვას ძე **იმედაძე** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ურთიერთხელსაყრელი საქონელბრუნვა

გაისად ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში საექსპორტოდ გაიგზავნება მილიონი დეკალიტრი სხვადასხვა მარკის ქართული ღვინო. ამის შესახებ შეთანხმებას „ცეკავშირსა" და ჩეხოსლოვაკიის საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „ინტერკოოპს" შორის მიაღწიეს ამ ფირმის გამოფენის მუშაობის დღეებში. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში გაიგზავნება აგრეთვე შამპანურის, კონიაკის, კაკლის და მთელი რიგი სხვა პროდუქტების დიდი პარტიები. მოძმე ქვეყნიდან ამის სანაცვლოდ ჩვენს რესპუბლიკაში გამოიგზავნება ავეჯი, შეკერილი ნაწარმი, საბავშვო ტანსაცმელი და სათამაშოები, ხორცისა და ბოსტნეულის კონსერვები, ზოგიერთი სხვა საქონელი.

სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენლობასთან არსებული „ინტერკოოპის" მუდმივმა წარმომადგენელმა ბ. პეხაჩეკმა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში გამოთქვა კმაყოფილება თბილისში გამართული მოლაპარაკების შედეგების გამო. „ეს იყო ჩვენი პირველი ესოდენ წარმომადგენლობითი გამოფენა საზღვარგარეთ — თქვა მან — და მინდა დელეგაციის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო მის ორგანიზაციაში დახმარების გაწევისათვის საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას და ჩვენს საქმიან პარტნიორს „ცეკავშირს".

• სამედიცინო დასკვნა ა. მ. ბარაბაძის გარდაცვალების მიზეზების შესახებ

ანზორ მიხეილის ძე ბარაბაძე, 1938 წელს დაბადებული, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ავადმყოფობდა ჰიპერტონიული დაავადებით, გულის იშემიური დაავადებით, რასაც ახლდა ხშირი სტენოკარდიული შეტევები და გულის კუნთში გამტარებლობის დარღვევა. რამდენჯერმე ჩაუტარდა სტაციონარული მკურნალობა.

1985 წლის 14 ივლისს განუვითარდა გულის კუნთის მსხვილკეროვანი მწვავე ინფარქტი, რამაც გამოიწვია გულის გაჩერება. რეანიმაციული ღონისძიებების მიუხედავად, ავადმყოფი გარდაიცვალა.

პათოლოგიურ-ანატომიური დასკვნა: მძიმე გავრცელებული ათეროსკლეროზი გულის მკვებავი არტერიების უპირატესი დაზიანებით. მარცხენა პარკუჭის შუა კედლისა და პარკუჭთაშუა ძგიდის მსხვილკეროვანი ინფარქტი. მრავლობითი პოსტნეკროზული ნაწიბურები გულის მარცხენა პარკუჭისა და პარკუჭთაშუა ძგიდის მიდამოებში. ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს უფროსი თ. თოფურია; საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ჭავჭავაძე; საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს მთავარი კონსულტანტ-კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გ. ცინცაძე; პათოლოგ-ანატომი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი უ. ბაბუნია; მკურნალი ექიმი ნ. სირაძე.
1985 წ. 15 ივლისი.

ა. მ. ბარაბაძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება განსვენებულის ბინაზე (საბურთალოს ქუჩა, №35) 16 და 17 ივლისს საღამოს 8 საათზე, 18 ივლისს — ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში დღის 2 საათზე.

გამოსვენება — 18 ივლისს დღის 4 საათზე ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლიდან.

მამაცებს მთები ცდიან

წვრთნა „კავკასია-85“

ტოვორიც ვიუწყებოდით ამა წლის 15-21 ივლისს რუსთავის, ალსტაფის, წითელწყაროს, საგარეჯოს რაიონში ეწყობა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების წვრთნა პირობითი სახელწოდებით „კავკასია-85“. „ალმოსავლელები“ და „დასავლელები“ — ასე ერქმევა ამიერიდან მოწინააღმდეგე მხარეებს, რომლებმაც ამინდის რთულ პირობებში, მთაგორიან ადგილებში იარეს მარშით. ჯარების თავმოყრის რაიონებში მეთაურები და პოლიტმუშაკები ახორციელებენ მომავალი მოქმედების საბრძოლო, მატერიალურ-ტექნიკური და საინჟინრო უზრუნველყოფის სხვადასხვა ღონისძიებას. ქვეგანაყოფებში მიმდინარეობს მრავალმხრივი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სასწავლო ამოცანათა სანიმუშო შესრულებისათვის პირადი შემადგენლობის დასარაზმავად.

...ძლიერი კოკისპირული წვიმები, რომლებმაც გზები გადარეცხა, პაპანაქება სიცხემ შეცვალა. მარშის დროს დიდი ოსტატობა გამოავლინეს გვარდიული ასეულის ტანკისტებმა, რომლის სიებში სამუდამოდ არის შეტანილი საბჭოთა კავშირის გმირის კაპიტან დ. ტეპლიაკოვის სახელი. ასეულმა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრა, იგი წარჩინებული ქვეგანაყოფის წოდებისათვის იბრძვის.

—ამინდისა და მთების „სიურპრიზების“ მიუხედავად, საბრძოლო ტექნიკის არც ერთი ერთეული არ გამოსულა მწყობრიდან, — ამბობს ასეულის მეთაური, ფრონტელის შვილიშვილი, გვარდიის კაპიტანი ა. ხვოსტიჩენკო. — კოლონამ სწრაფი ტემპით გადალახა კანიონები, უღელტეხილები, ციცაბო აღმართ-დაღმართები და ვადაზე მიაღწია საწყის რაიონს სხვა ქვეგანაყოფებთან ერთად.

ამ მარშის დროს ახალგაზრდა მეომრები მხარს უსწორებდნენ იმათ, ვინც გაიმარჯვა გმირის სახელობის ტანკის მართვის უფლებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში—ინტერნაციონალურ ეკიპაჟს ტანკის მეთაურის, გვარდიის სერჟანტის ა. კრიუკოვის, გვარდიის რიგითების — მძღოლ-მექანიკოსის რ. გაჯიევის, ქვემეხის დამმიზნებლის მ. იაცკევიჩისა და გამტენის მ. ბიბილაშვილის შემადგენლობით. საწყის რაიონს რომ მიაღწიეს, მათ თავიანთ ამხანაგებთან ერთად წვრთნის ყველა მონაწილეს მიმართეს მოწოდებით, რომლის დევიზია: ჩინებული მოქმედება „კავკასია-85“ წვრთნაზე ჩვენი მხედრული ნობათია სკკპ XXVII ყრილობისათვის“.

შესანიშნავი ისტორია და სახელოვანი ტრადიციები აქვს ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქს, რომლის ჯარებმაც „კავკასია-85“ წვრთნის დროს საბრძოლო ოსტატობისა და გაწვრთნილობის სერიოზული გამოცდა უნდა ჩააბარონ. ამ ოლქის წინამორბედი იყო XI არმია, რომელიც 1920-21 წლებში მ. ლევანდოვსკის სარდლობით მიეშველა ბურჟუაზიულ-ეროვნულ მთავრობათა წინააღმდეგ საბრძოლველად აღმდგარ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელებს. 1921 წლის 22 მაისს სწორედ ამ არმიის ბაზაზე შეიქმნა ცალკე კავკასიის არმია, რომელმაც პირველად დაიწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებში სამხედრო-ტერი-...

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

15 ივლისი ■ საქდესი იუწყება

სამშვიდობო ლოზუნგებით

ტოკიო. მტკიცე მშვიდობისა და განიარაღებისათვის, იაპონიის მმართველი წრეების სამხარი მზადებისა და მათი ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ლოზუნგებით აქ მუშაობა დაიწყო იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს მორიგმა ყრილობამ. ქვეყნის ამ უდიდესი პროფკავშირული გაერთიანების წარმომადგენლები, რომელშიც 4,5 მილიონზე მეტი წევრია, დაამტკიცებენ მომავალი პერიოდისათვის მოქმედების პროგრამას.

თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაციისათვის მოძრაობის შემდგომი აღმავლობა იაპონიის კონფერენციაზე იაპონიის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს მიაჩნია ერთ-ერთ მთავარ ამოცანად, ხაზგასმით არის აღნიშნული დოკუმენტებში, რომლებ...

მოკლედ

უქანასკნელ ხაათს

◆ **ლონდონი.** კანბერაში ჩავიდა ამერიკის შეერ-...

◆ **კაირო.** ...

◆ **ლისაბონი.** ...

პაკისტანი

ამკაცრებენ რეპრესიებს

ლონდონი. პაკისტანიდან მილებული ცნობებით, ზია-ულ-ჰაკის რეჟიმი ამკაცრებს რეპრესიებს შიიტი მუსულმანების 20-მილიონიანი თემის წინააღმდეგ, რომლებიც პაკისტანში იხედაც განიცდიან აღმაშფოთებელ დისკრიმინაციას და შესაძლებლობა არა აქვთ შეასრულონ თავიანთი რელიგიური წეს-ჩვეულებანი.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ქალაქ კვეტის (ბელუჯისტანის პროვინცია), რომელიც...

აშშ

ოპერაცია გააკეთეს

ფოტოკადრი ადასტურებს

ბარბაროსობა ამერიკული სცენარით

ავღანური ქრონიკა

დასახმარებლად გაწვდილი ხელი

ზაფხული ავღანეთში საბჭოთა ჯარების მეომართა საბრძოლო წვრთნის დაძაბუ... სწავლობენ მთის პირობებში რთული ამ... წყვეტას. ხშირად საბჭოთა მეომრები მეგობრებს.

1. ყველაფერი ნამდვა გადაწყვიტა

ტაქტიკური მეცადინეობის გეგმით სარემონტო ქვეგანაყოფს, რომელსაც გვარდიის კაპიტანი პ. კონცედაილოვი მეთაურობს, მთებში დიდი გზა უნდა გაევლო და ახალ ადგილას მოეწყო საბრძოლო ტექნიკის აღსადგენი პუნქტი. გვარდიელებმა წარმატებით...

2. დანგრეული შეკეთებლად

3. სასიფათო სიურპრიზები

„ბურია“ პოლიგონზე

სპორტი

ასპარეზობენ ჭაბუკები

იმაღლებენ კვალიფიკაციას

ჭადრაკის დაფებთან

სატურნირო ორბიტა

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

ჩვენი ტელევიზია

მოსკოვი

თბილისი

თეატრი

რედაქტორი ვ. ხერხეულიძე.

კომუნისტი ინდექსი 68434